ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 აპრილი 2004 №89 (2108) ფასი 50 თეთრი

## ყველაფერი იყო 0



REUTERS

## პორტუმ და დეპორტივომ მაყურებელს ორი მრგვალი აჩვენეს

## კორიდა ტრუსებში

„დეპორტივოს“ ისტორიაში პირველი პორტუგალიური ვიზიტი უგოლოდ დასრულდა. მორიგი „საქმის გარჩევა“ ორი კვირით გადაიდო. „პორტუ“ — „დეპორტივოს“ წყვილისგან გულშემატკივრები ალბათ უფრო ლაღ და შემტევ ფეხბურთს ელოდნენ, მაგრამ ორმხრივად ძუნწი თამაში გამოდგა. ფინალში გასვლის სურვილი იმდენად დიდია, რომ გუნდებმა არ გარისკეს და თავი ლა კორუნიისთვის შემოინახეს.

## კიდევ კარგი, ფეხბურთი სექსი არ არის

## 27 აპრილს, „ისანზე“

## სხვები სხვებთან, ქართველები საკუთარ თავთან



### ალენ ჟირესის ვითომ ეროვნული გუნდი

აკაკი დევაძე, მირზა მერლანი; გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი შაშიაშვილი, დავით ჭიჭველიშვილი; ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით კვირკველია, ლადო ბურდული, ლევან კორღალიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, დავით დიღმელაშვილი, თორნიკე აფციაური; ბორის გონჩაროვი, რევაზ გოცირიძე, ლადო ახალაია



### გოჩა ტყებუჩავას ვითომ ახალგაზრდული გუნდი

ირაკლი ბალაძე, ბექა შეყრილაძე, კახა ბენდუქაძე; დავით იმედაშვილი, აკაკი კუპრეიშვილი, ზაალ ელიავა, ლაშა დონდოლაძე, ანზორ კალაძე; გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა, გიორგი კანკავა, ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი, ლუკა რაზმაძე, გაგა ჩხეტიანი; სანდრო იაშვილი, გოგა ფიფია, ირაკლი ებანოიძე, თემურ მალანია

## ჩემპიონთა ლიგა
### 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. გუშინ

პორტუ (პორტუგალია) 0:0 დეპორტივო (ესპანეთი)

პორტუ: ბაია, პაულუ ფერეირა, ჟორჟე კოსტა, კარვალიო, ვალენტე, კოშტინია (მენდესი 46), ალენიჩევი (იანკაუსკასი 46), მანიშე, დეკო, კარლოს ალბერტო, მაკკარტი (მარკო ფერეირა 70)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ანდრადე, რომერო, ვიქტორი (სეზარი 88), სერხიო (დუშერი 79), მაურო სილვა, ლუკე (ფრანი 44), ვალერონი, პანდიანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: კარლოს ალბერტო (23), კარვალიო (29), მაურო სილვა (29), მარკო ფერეირა (90)

გაძევება: ანდრადე (87)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

50 818 მაყურებელი

# კორიდა ტრუსებში



ფეხბურთელები ერთმანეთს თავზე კი ახტნენ, მაგრამ სახეირო არაფერი უკეთებიათ

„პორტუს" ესპანური კლუბისთვის ოთხი წელია, არ მოუგია და ნავსი ამჯერადაც ვერ გატეხა. ჟოზე მაურინიუმ მატჩამდე თქვა, 1:0-ზეც თანახმა ვარო, მაგრამ ხავიერ ირურეტამ არ დაანება.

გუშინ არ იყო ის „დეპორტივო", „მილანს" რომ თავბრუ დაახვია. ირურეტას შეგირდებმა პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლებს სივრცეები ამოუქოლეს და იშვიათი, მაგრამ სახიფათო კონტრიერიშებით აწუხებდნენ. სტუმრები განსაკუთრებით ფლანგებზე აქტიურობდნენ. ლუკე და ვიქტორი „პორტუს" განაპირა მცველებს შეტევაში ჩართვის საშუალებას არ აძლევდნენ, თავად კი ვალტერ პანდიანისთვის იღწვოდნენ, რომელსაც დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია.

„დეპორტივომ" შესვენებამდე მთავარი პორტუელი დეკო, ფაქტობრივად, უბურთოდ დატოვა. ამიტომაც იყო, დეკოს ჭკვიანურ პასებზე აწყობილი გუნდი საჯარიმოში ჩაწოდებებით შემოიფარგლა, სადაც მაკარტი ხლაფორთობდა. მეკარეებს ბევრი საქმე არ ჰქონიათ, რაკი გუნდები დაცვაში გაორმაგებული ყურადღებით თამაშობდნენ.

მეორე ნახევარი გაცილებით საინტერესო გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ ვალტერ პანდიანის ტრუსი ჩასძვრა, მანიშე რიბეირუმ ჩათვლემილი მოლინას კარის ძელს ბურთი მოარტყა, ბოლოს კი სტუმართა პორტუგალიელი ჟორჟე ანდრადე გააძევეს. ანდრადემ წაქცეულ დეკოს თავხედურად ფერდში წიხლი ჰკრა და გაოცებული უხსნიდა გარშემომყოფთ, არაფერი დამიშავებიაო.

შეხვედრის მიწურულს მარკუს მერკს მასპინძელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანის დანიშვნა შეეძლო, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევა საპენალტოდ საკმარისად არ მიიჩნია, რის გამოც ახალ სტადიონზე მოკალათებულ პორტუგალიელთა სტვენა და ლანძღვაგინება დაიმსახურა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### იტალია
სერია A. გადადებული მატჩი

ლაციო 1:1 რომა

### სლოვენია
თასის 1/4 ფინალი

დრავოგრადი 1:0 ლიუბლიანა

იესენიცე 1:2 მარიბორი

### სერბეთი
თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩები

ბუდუჩნოსტი 2:1 ობილიჩი

ცრვენა ზვეზდა 1:0 პარტიზანი

### ხორვატია
ნაციონალლიგა. XXVII ტური

რიეკა 3:1 ზადარი

ოსიეკი 2:3 დინამო

ვარტეძსი 0:0 ჰაიდუკი

ციბალია 3:1 ინტერი

ზაგრები 1:2 კამენი

სლავენი 2:1 მარსონია

### სლოვაკეთი
თასის 1/2 ფინალი

დუშლო სალა 0:3 პეტრჟალკა

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XXV ტური

ფერენცვაროში 0:4 ბალატონი

დებრეცენი 2:2 მტკ

უიპეშტი 2:1 შოპრონი

პეჩი 2:0 ჰალადაში

დიორ ეტო 3:0 ბეკეშჩაბა

ზალაეგერსეგი 1:0 ვიდეოტონი

### ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

კრ. პალასი 3:0 სანდერლენდი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

ნორსვიჩი 1:0 ტელფორდი

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სელტიკი 1:2 აბერდინი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

შო დე ფონი 0:1 ანიო

### რუსეთი
თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები

ტერეკი 3:0 როტორი

ცსკა 0:1 კრილია

ლოკომოტივი 4:1 შინიკი

ტორპედო 0:0 როსტოვი

### ავსტრია
მემფისის თასი. 1/4 ფინალი

რაპიდი 1:3 გრაცერი

### დანია
თასის 1/4 ფინალი

კოპენჰაგენი 3:1 ოდენსე

ბრონდბიუ 0:0 ოლბორგი

### საბერძნეთი
თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

ოლიმპიაკოსი 1:1 კასტორია

### თურქეთი
სუპერლიგა
გადადებული მატჩი

სამსუნი 2:3 კონია

# ბედისწერა შინიკი



იაროსლავლის „შინიკი" მალხაზ ასათიანისთვის ალბათ ყოველთვის ავადმოსაგონარი გუნდი იქნება. გუშინდელი სათასო მატჩი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველ ნახევარმცველს კუნთი რომ დაუზიანდა და შესაცვლელი გახდა. ეს ის კუნთია, რუსული პრემიერლიგის პირველ ტურში, იმავე „შინიკთან" მატჩში რომ დაეჭიმა მალხაზს და ამის გამო სამ კვირაზე მეტი გაუცდა. არადა, ასათიანი ტრავმის შემდეგ ჩინებულად ათამაშდა და ამასწინანდელ „ლოკომოტივ" — ცსკა-ს ჯახში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

ჩვენებურს დიაგნოზს დღეს, სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დაუსვამენ. „ლოკომოტივმა" კი „შინიკი" 4:1 დაამარცხა და პირველი მატჩის 0:3 ვერ „ამოქაჩა". ბოლო წუთებზე მიხეილ აშვეთიას დარტყმულს ნახევარი იაროსლავლი გადაეფარა.

# ლოდინის ხიზანი



*მოსკოვის „დინამო" წლეულს აშკარად მოლონიერდა. როგორც ჩანს, კლუბის მეპატრონეებმა მართლაც სერიოზულად მოჰკიდეს ხელი „დინამოს" აღორძინებას. ეგაა, მოსკოველებს თავისი ძალა სრულად ჯერაც ვერ დაუმტკიცა ოთარ ხიზანეიშვილმა: ის ისევ „დინამო 2"-ში ვარჯიშობს, თამაშობს და ელის...*

— პირველ გუნდში შენი გამოჩენის პერსპექტივა როგორია?

— ეს მარტო „დინამოს" მწვრთნელმა გჟებიკმა იცის. ბოლო დროს გუნდს საქმეები კარგად მისდის, დაცვაც ნორმალურად თამაშობს და ასეთ ვითარებაში არა მგონია, ჩემი ძირითადში დაყენება და თამაში გარისკოს.

— რატომ?

— ძალიან ფრთხილი კაცია და არც ექსპერიმენტები უყვარს. თანაც აქ, რუსეთში, ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს თავისი ამბიციები, თორემ ჩემი საწინააღმდეგო არა მგონია, რამე ჰქონდეს. როდესაც ის „დინამო 2"-ის მატჩებს ესწრება, მე შეუცვლელად მათამაშებენ, სხვა დროს კი დასვენების საშუალებას მაძლევენ და მხოლოდ ერთ ტაიმს მტვირთავენ.

— შენი აზრით, როდის დადგება თამაშის დრო?

— არ ვიცი, ეს, შეიძლება, ნებისმიერ მომენტში მოხდეს და ამისთვის მზად უნდა ვიყო. ეგებ ისეც მოხდეს, რომ ერთმა თამაშმა ყველაფერი გადაწყვიტოს, ამიტომ ჩემს შანსს უნდა დაველოდო.

**დავით ერაძე**

# ლიტვური საპნის ბურთი

ლიტვური „კაუნასის" და ქართველების თანამშრომლობა საპნის ბუშტივით გასკდა. ბალტიისპირეთში ჩასულმა რევაზ ძოძუაშვილმა „კაუნასს" ჩვენებური ფეხბურთელები — ვალერი აბრამიძე, ზურაბ ძამსაშვილი, დავით ჩილვინაძე და დიმიტრი პარამონოვი რომ ჩაუყვანა, ადრე გაუწყეთ. გავრცელებული ხმებით, ძოძუაშვილი ლიტვური გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტად უნდა დანიშნულიყო და ქართველი ფეხბურთელების ბედიც თითქოს გადაწყვეტილი იყო, თუმც ასე არ მოხდა. ქართველებმა ლიტვა დატოვეს.

— „კაუნასს" ლიტველი სპეციალისტი ჩაუდგა სათავეში. არადა, ვიცოდით, რომ ძოძუაშვილს იწვევდნენ. ამ იმედით ჩავედი ლიტვაში, მაგრამ მერე ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ახლა მოსკოვში ვარ და „სპარტაკის" სარეზერვო გუნდში ვვარჯიშობ. სხვა რა გზა მაქვს, სატრანსფერო ფანჯრის გახსნას უნდა დაველოდო — გვითხრა გუშინ ვალერი აბრამიძემ.

**კახა შალამბერიძე**

# უკონტრაქტო სიონელი



*საგაზაფხულო ეტაპი ახალდაწყებული იყო, რუსეთიდან დაბრუნებული დავით ჩალაძე ბოლნისის „სიონში" რომ მივიდა. ფეხბურთელს და კლუბს პირობებზე შეთანხმება არ გასჭირვებიათ, მაგრამ ამ ტრანსფერს არა და არ დაადგა საშველი. მიზეზი გასაგები იყო — ჩალაძე რუსეთიდან სატრანსფერო ფურცელს ელოდა...*

ახლა კი ეს პრობლემაც მოგვარდა, თუმც „სიონში" ჩალაძე მაინც არ ჩანს. ამის გასარკვევად დათოს გუშინ შევეხმიანეთ:

— გათავისუფლების ფურცელი უკვე ჩამოვიდა. ახლა გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

— როდის ითამაშებ?

— არ ვიცი. კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია და, ცხადია, თამაშის უფლებაც არ მაქვს.

— ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდი თუ სხვა მიზეზია?

— თითქმის აღარაფერი მიშლის ხელს. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდება.

— ანუ „სიონში" მალე გამოჩნდები?

— ეგ უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. კონტრაქტს რომ მოვაწერ ხელს, მერე როგორც თემურ მახარაძე ჩათვლის საჭიროდ, ისე იქნება.

**კახა შალამბერიძე**



საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა და ახალგაზრდული გუნდის მუდმივ-დროებითმა თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ გუშინ ის ფეხბურთელები ჩამოთვალეს, რომლებსაც სამშაბათს „ისნის“ სტადიონზე ათამაშებენ. გეცოდინებათ, საქართველოს ნაკრებს 28 აპრილის ამხანაგური მატჩი უმეტოქეობის გამო ჩაეშალა, მწვრთნელმა კი, სხვა გამოსავალი რომ აღარ ჰქონდა, ფიფასგან დადგენილი „ამხანაგური დღე“ თავისებურად გამოიყენა და თვალის შესავლებად საქართველოში მოთამაშეთ უხმო. ჟირესმა 18 ფეხბურთელის სია იმ შთაბეჭდილების შემდეგ ჩამოწერა, რაც ჩემპიონატისა და თასის მატჩების შემხედვარეს დარჩა. თუმცა გამოძახებულებში სამი ლეგიონერიცაა, „თურქი“ გივი დიდავა და „ლატვიელები“ — ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე



# ჟირესი ქართულ პირობებში: ეროვნული გუნდი პირობითია

— გერმანიაში ჩატარებული ამხანაგური მატჩის შემდეგვე ჩამოვწერე იმ 30 ფეხბურთელის სია, ვისი გამოძახებაც სააპრილო თამაშისთვის მსურდა. სამწუხაროდ, დაგვაგვიანდა და მეტოქე ველარ გამოვნახეთ — თქვა ალენ ჟირესმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე — ამიტომაც, სხვა გზა რომ არ გვქონდა, ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრა გადავწყვიტეთ. ეს ჩემთვის ორმაგად სასარგებლო იქნება, ორივე გუნდის ფეხბურთელებზე დაკვირვების საშუალება მექნება, რაც სამომავლოდ სელექციისთვის გამომადგება.

...მქონდა სურვილი, რომ საქართველოში საუკეთესო ფეხბურთელები შემეკრიბა და ერთმანეთში მეთამაშებინა, მაგრამ ადრე საამისო დრო არ იყო. მსგავსი მატჩები მომავალშიც იქნება და ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. სელექციისთვის ასეთი მატჩები საჭიროა, უკეთ გავერკვევით ფეხბურთელთა შესაძლებლობებში.

...ახალგაზრდულ გუნდზე პასუხისმგებელი გოჩა ტყებუჩავაა, პირობითად ეროვნულის შემადგენლობა კი ჩემი შედგენილია. ეს ფეხბურთელები მას შემდეგ გამოვიძახე, რაც ჩემპიონატისა და თასის მატჩებს დავესწარი.

...ამჟამად გუნდში სულ სამი ლეგიონერი იქნება — დიდავა, მენთეშაშვილი და კორღალიძე. ამ ფეხბურთელების კლუბებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და ისინი სათამაშოდ გამოუშვეს. სხვა ლეგიონერების კლუბებს კი ვერ დაავალდებულებ, ფეხბურთელი ასეთი მატჩისთვის გამოუშვას. ნაკრებისთვის ხომ ეს ოფიციალური შეხვედრად არ ითვლება...

...26-27 მაისს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მთავრდება ჩემპიონატები და ვიმედოვნებ, იმ თვის ბოლოსთვის უძლიერესი ქართველი ლეგიონერების შეკრებასა და რომელიმე ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვას შევძლებთ. მაისის მერე, აგვისტომდე, ნაკრებს თამაში აღარ ექნება, ვერც ლეგიონერების საქმეში ნახვას მოვახერხებ, თუმც დროს არ დავკარგავ. საბერძნეთს და დანიას ევროპის ჩემპიონატზე შევხედავ. 18 აგვისტოს კი მოლდოვაში საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ბოლო რეპეტიცია ექნება.

...27 აპრილის მატჩისთვის 18 ფეხბურთელი გამოვიძახეთ, თუმც შემადგენლობაში ცვლილებებსაც ნუ გამორიცხავთ. თუ ვინმე დაშავდა და სამშაბათს თამაშს ვერ შეძლებს, მას იმ ფეხბურთელით შევცვლით, ვინც ამ უქმეებზე ჩემპიონატის ტურში თავს გამოიჩენს.

...ავსტრიაში ვიყავი და დავით მუჯირის „შტურმის“ თამაში ვნახე. მუჯირს პირისპირაც შევხვდი და ვესაუბრე. მის თანაგუნდელებსაც შევხვდი, რომლებმაც ქართველი ფეხბურთელი ძალიან კარგად დამიხასიათეს. მოკლედ მუჯირის შესაძლებლობებში გარკვეული ვარ და მას ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში გამოვცდით. ყოველდღიური ინფორმაცია მაქვს ასევე სხვა ლეგიონერებზეც, ვიცი, ვინ თამაშობს, ვინ სათადარიგოა, ვის რა უჭირს. მოკლედ, ქართველ ფეხბურთელებზე ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი. არც მეტოქენი გვყავს უყურადღებოდ, ცნობებს მათზეც ვაგროვებ. მაგალითად, 7 ივნისს საფრანგეთი-უკრაინის მატჩს დავესწრები.

...ყველა შემთხვევაში სეზონის ბოლომდე ერთი ამხანაგური მატჩის გამართვა გვჭირდება, სასურველია, ეს შეხვედრა რომელიმე ნაკრებთან იყოს. ლეგიონერები უნდა ვნახო და სეზონის ბოლოს მათი შესაძლებლობები შევაფასო.

...ჩემთვის პრობლემა ისაა, რომ შაბათკვირას ყველა ლეგიონერის თამაშის ნახვას ვერ ვახერხებ, ზოგი შოტლანდიაში თამაშობს, ზოგი რუსეთში, იტალიაში, გერმანიაში... გაფანტულები არიან. თუმც კი, როგორც ვთქვი, მათზე ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი.

**კობა ინასარიძე**

### ეროვნული ნაკრები

**მეკარეები:** *აკაკი დევაძე (სპარტაკი), მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია)*

**მცველები:** *გივი დიდავა (ქოჯაელი, თურქეთი), რევაზ ქემოკლიძე, გივი კვარაცხელია (თბილისი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), დავით ჭიჭველიშვილი (სიონი)*

**ნახევარმცველები:** *ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით კვირკველია, ლადო ბურდული (დინამო), ლევან კორღალიძე, ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), შოთა ბაბუნაშვილი (ტორპედო), დავით დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), თორნიკე აფციაური (თბილისი)*

**თავდამსხმელები:** *ბორის გონჩაროვი (სიონი), რევაზ გოცირიძე (ვიტ ჯორჯია), ლადო ახალაია (დინამო)*

### ახალგაზრდული ნაკრები

**მეკარეები:** *ირაკლი ბალაძე (ბათუმი), ბექა შეყრილაძე (თბილისი), კახა ბენდუქიძე (მცხეთა)*

**მცველები:** *დავით იმედაშვილი, აკაკი კუპრეიშვილი (ვიტ ჯორჯია), ზაალ ელიავა (თბილისი), ლაშა დონდოლაძე (სპარტაკი), ანზორ კალაძე (უგუნდო)*

**ნახევარმცველები:** *გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა (თბილისი), გიორგი კანკავა (დინამო 2), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია), კახა ალადაშვილი (სიონი), ლუკა რაზმაძე (დილა), გაგა ჩხეტიანი (ტორპედო)*

**თავდამსხმელები:** *სანდრო იაშვილი (დინამო), გოგა ფიფია (თბილისი), ირაკლი ებანოიძე (ვიტ ჯორჯია), თემურ მღებრიშვილი (დილა)*

# აუე გავარდა კი არა, ავარდა

## შუბითიძე მჯდომარეც ბედნიერია

*ამ გუნდით თუ მეორე ბუნდესლიგაში დავრჩით, საგმირო საქმე იქნება, გვითხრა სეზონის წინ რეგიონალლიგაში გამარჯვებული აუე-ს ქართველმა ლეგიონერმა ხვიჩა შუბითიძემ. აუე-ს მართლაც გაუჭირდა, ძირითადად გასავარდნთა ზონაში იყო, მაგრამ საშუასეზონო შესვენებისას ერცგებირგელებმა გამოცდილი პოლონელი შემტევი ანჯეი იუსკოვიაკი იყიდეს და საქმეც აანყვეს. ჰოდა, გუნდიც ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მეექვსე ადგილზეა.*

*აუე-მ ბოლო ტურში ლიდერი „კოტბუსი“ დაამარცხა საშინაო მატჩში და ოფიციალურად გაინაღდა მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ერცგებირგელთა ქართველ ლეგიონერს ავტომატურად გაუხანგრძლივდა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით. ხვიჩა შუბითიძეს გუშინ ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ*




— მეორე ბუნდესლიგის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა 12 წლის წინ იყო, როცა 42-ქულიანი გუნდი გავარდა. ქულაც და უკვე ასი პროცენტით შევისრულებთ მიზანს.

**— გავარდნა კი არა, ხუთი ქულა გაშორებთ მესამეადგილოსან „კოტბუსს“. ბუნდესლიგაში გადასვლას არ შეეცდებით?**

— ბუნდესლიგა მთლად ფანტასტიკა იქნება. მაგრამ სამეულში მოხვედრა წარმოუდგენლად მეჩვენება. ალბათ იმიტომ, რომ აქამდე მხოლოდ იმას ვფიქრობდით, არ გავვარდნილიყავით. არადა, სატურნირო ცხრილში ისეთი ვითარებაა, ყველაფერი შესაძლებელია. თუმც ვფიქრობ, ბუნდესლიგაში წლეულს გადასვლა აუე-ს ძალას აღემატება.

**— KICKER-მა დაწერა, აუე ისე თამაშობს, შესაძლოა, რეგიონალლიგიდან პირდაპირ ბუნდესლიგაში ამოყოს თავიო...**

— მართლა მაგრად გვიმართლებს. ბოლო შვიდი თამაშიდან ექვსი მოვიგეთ, მაგრამ ბუნდესლიგაში გადასასვლელად მინიმუმ 10 ქულა დაგვჭირდება ხუთ დარჩენილ მატჩში. მომავალ ტურში შინ „არმინიას“ ვხვდებით, თუ მოვუგებთ, ბუნდესლიგაზე მერე ვილაპარაკოთ.

**— აუე კარგად კი თამაშობს, მაგრამ შენ სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდი და შეცვლებზეღა გიწევს თამაში...**

— ეს ბუნებრივიცაა, მეორე წრის დასაწყისში ზედიზედ ორი თამაში რომ წავაგეთ, მწვრთნელმა გერდ შედლიხმა შემადგენლობა შეცვალა და ოთხი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დაგვსვა. ჩვენს შემცვლელებს საქმე კარგად აეწყოთ, გუნდსაც იმის მერე თამაში წაუვიდა და, რაღა თქმა უნდა, შედლიხს ცვლილებებზე აღარ უფიქრია.

**— შეეგუე სათადარიგოობას?**

— მე პროფესიონალი ვარ და მოთმინებით ველოდები ჩემს ჯერს, ამაში ტრაგიკული არაფერია. თანაც შეცვლაზე თამაშითაც ვახერხებ, სარგებლობა მოვუტანო გუნდს. ბოლო ტურში „კოტბუსთან“ ნახევარი საათიც არ მითამაშია, მაგრამ ძალიან სასარგებლო იყავიო, შემაქო მწვრთნელმა.

**— თქვენთან თამაშამდე „კოტბუსი“ ლიდერი იყო. გაგიჭირდათ მის წინააღმდეგ თამაში?**

— პირველ ტაიმში მაგარი ჩეხვა იყო, მომენტები ჩვენ უფრო მეტი გვქონდა, თუმც ტაიმის ბოლოს მეტოქემ ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა. მეორე ნახევარში კი აუე-მ მაინც დაიჭირა თავისი კოზირი — მინიმალური შესაძლებლიდან მაქსიმალური გამოიყვანა და ჩვენს ერთადერთ გოლს მეტოქემ ვერაფრით უპასუხა.

**— ხელშეკრულების თანახმად, აუე-ს მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის შემთხვევაში კონტრაქტი ერთი წლით გიგრძელდება...**

— ჩათვალეთ, რომ კონტრაქტი უკვე გამიგრძელდა. აუე-ში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ბედნიერი ვარ, მომავალ სეზონსაც ამ გუნდში რომ გავატარებ.

**პაატა ძვანტალიანი**

# გადელია ბალტიკას გაექცა

**კალინინგრადის** „ბალტიკაში“ მოთამაშე ქართველმა თავდამსხმელმა თეიმურაზ გადელიამ კლუბთან შეთანხმებას ვერ მიაღწია და რუსეთი დატოვა. ჩვენებური წლების მანძილზე თამაშობდა რუსეთის პირველ დივიზიონში და „ბალტიკას“ ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირადაც ითვლებოდა, თუმც ამ სეზონის წინ კონტრაქტის პირობების გაუმჯობესება მოითხოვა, რაზეც კალინინგრადელებმა უარი უთხრეს.

გადელიას მსურველი უკვე გამოუჩნდა — ბელარუსული „დნეპრტრანსმაში“. მხარეებმა თითქმის ყველაფერზე მოილაპარაკეს და ჩვენებურიც მალე მოირგებს ახალი გუნდის მაისურას.

შეგახსენებთ, რომ თემურ გადელია ხუთი წლის წინ იოჰან ბოსკამპის „დინამოში“ ირიცხებოდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშა მოლდოვური „ზიმბრუს“ წინააღმდეგ, მერე კი აქაურობას გაეცალა და რუსეთში გადაიხვეწა.

**კახა შალამბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# კიეველთა ცრემლიანი თვალები

## როგორ გააჩემპიონა ტორპედომ ტორპედო

*პატარა გუნდები ხანდახან გრანდებს რომ ამარცხებენ, ფეხბურთი ამითაც დიდად ფასობს. ასე იყო ადრეც, რამდენიმე ათეული წლის წინათ.*

*გივი ნოდია, თბილისის „დინამოს“ ახლანდელი სპორტული დირექტორი, ერთ-ერთი ასეთი მატჩის მონაწილეა — მაშინ ნოდია ქუთაისის „ტორპედოს“ გარემარბი გახლდათ...*

*39 წელი პატარა დრო არაა, მაგრამ ნოდიამ თავისი საყვარელი „მალბორო“ მოქაჩა და ძველი ამბავი თითქმის სრულად გადმოქაჩა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უხვად იყო დასამახსოვრებელი, დრამატული მატჩები, რომლებიც გადაჭედილი ტრიბუნების წინ იმართებოდა.*

*მაშასე, ქუთაისის „ტორპედო“ კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ...*



გივი ნოდია საბჭოთა ჩემპიონატის ბომბარდირის პრიზით

**დავით თავართქილაძე**

1965 წელი იყო და მაშინ ქუთაისის „ტორპედო“ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. სეზონი მთავრდებოდა, ჩვენ ბოლოდან მეორე ადგილზე ვიყავით, ბოლოზე კი ლენინგრადის „ზენიტი“ — უმაღლეს ლიგაში 18 გუნდი თამაშობდა ორ წრედ.

„ზენიტი“ თითქმის განწირული იყო გასავარდნად, მაგრამ ჩვენამდეც მოაღწია ხმებმა, რომ „ზენიტი“ ბოლო ადგილზე რომც დარჩენილიყო, მაინც არ გააგდებდნენ — „ზენიტი“ ომისდროინდელი გმირი ქალაქის, ლენინგრადის გუნდი იყო. ყველაფერი ეს ოფიციალურად არ გამოცხადებულა, თუმც ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ასე მოხდებოდა. მაგრამ უმაღლესი ლიგიდან ორი გუნდი ვარდებოდა და ჩვენც საფრთხის ქვეშ ვიყავით.

ჩემპიონობისთვის კი ორი გუნდი იბრძოდა — კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე კიეველები ერთი ქულით უსწრებდნენ მოსკოველებს და ამ დროს მოუწიათ უკრაინელებს ქუთაისში სტუმრობა.

მაშინ ისეთი ვითარება იყო, რომ ჩვენ და მოსკოველი ტორპედოელები თანაკლუბელებად ვითვლებოდით. ჰოდა, მოსკოური „ტორპედოს“ მაღალმა ხელმძღვანელობამ გვთხოვა, კიეველებთან თავდადებით გვეთამაშა და სანაცვლოდ შეგვპირდნენ, რომ ყველაფერს იღონებდნენ, რათა ჩვენც არ დავჩაგრულიყავით — „ზენიტს“ ხომ არ აგდებდნენ.

ესეც რომ არა, მოსკოვის „ტორპედო“ საქართველოში განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა, რადგან ეს გუნდი სამხრეთულ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა და დიდი ფეხბურთელებიც ჰყავდა — ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი, ვალერი ვორონინი...

ჩინებული გუნდი იყო კიევის „დინამოც“ — კარში ვიქტორ ბანიკოვი, ნახევარდაცვაში იოჟეფ საბო, ანდრეი ბიბა, წინ ვიტალი ხმელნიცკი და ანატოლი პუზაჩი. ერთიცაა, მაშინ ევროპაში და საბჭოთა კავშირშიც გუნდები 4-2-4 ან 4-3-3 განლაგებით თამაშობდნენ, კიეველები კი 4-4-2-ით — უკრაინელებს ვიქტორ მასლოვი წვრთნიდათ.

ჩვენი მწვრთნელი მაშინ ვსევოლოდ ბლინკოვი იყო, მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი. მან „ტორპედო“ შუა სეზონში ჩაიბარა, მანამდე კი გუნდს ანდრო ჟორდანია წვრთნიდა. მე იმ სეზონში მეტწილად დუბლშემადგენლობაში ვთამაშობდი, დებიუტი კი უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოსთან“ მქონდა.

კიეველებთან შეხვედრამდე ბოლო შვიდი მატჩიდან ხუთი პირველი გუნდის ძირითადში ვითამაშე და ბლინკოვმაც სასტარტოში მათამაშა კიევის „დინამოსთან“. მატჩის წინ მწვრთნელმა სერიოზული ტაქტიკური დავალება მომცა. როცა მეტოქეს ექნება ბურთი, ნახევარდაცვაში უნდა ითამაშო, როცა ჩვენ, მაშინ მარცხენა გარემარბადო.

და დადგა მატჩის ჟამიც. ქუთაისის მაშინდელი სტადიონი 24 ათას კაცს იტევდა, მაგრამ თამაშს დაახლოებით 27-28 ათასი დაესწრო. შეხვედრა ჩვენთვის წარმატებულად დაიწყო — მარჯვენა მცველმა იუზა ლოსაბერიძემ მოჭრილი დარტყმით გაუტანა ბანიკოვს და მეტი გოლი აღარც გასულა — 1:0 მოვიგეთ. თამაში ნამდვილი ომი იყო. მატჩის ბოლოს კიეველებმა უხეშობას უმატეს, ნერვებს ველარ თოკავდნენ და თვალებიც აცრემლებული ჰქონდათ — მათი ამ წაგების შემდეგ მოსკოვის „ტორპედო“ გალიდერდა და ჩემპიონობაც მოსკოველებს ერგოთ.





21 თამაში, 5 გოლი — გივი ნოდიას მონაგარი საბჭოთა ნაკრებში



დინამოელ გივი ნოდიას გოლი მოსკოვის „ტორპედოსთვისაც“ გაუტანია

ჩვენ და „ზენიტი“ კი უმაღლეს ლიგაში დავრჩით. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ შეხვედრაში მწვრთნელის დავალებას თავი კარგად გავართვი.

შემდეგ სეზონში მე-13 ადგილზე გავედით, რაც იმან განაპირობა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. მოსკოვის ცსკა სულაც სტუმრად დავამარცხეთ. ცხადია, კიევის „დინამოსთანაც“ მოგვიწევდა თამაში. სანამ კიეველები ჩვენ გვიმასპინძლებდნენ, თბილისის „დინამო“ ისტუმრეს და 4:0 მოუგეს. მომდევნო მატჩი კი კიეველებს ჩვენთან ჰქონდათ. ყველა ჩვენს განადგურებას წინასწარმეტყველებდა, კიევის „დინამო“ ქუთაისელებს იოლად მოუგებს დიდი ანგარიშითო. რა თქმა უნდა, შარშანდელი წყენაც ახსოვდათ კიეველებს. იმ სეზონში უკრაინელთა რიგებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, მათ შორის ანატოლი ბიშოვეცი და ვლადიმერ მუნტიანი. თუმც, მიუხედავად პროგნოზებისა, კიევში მატჩის სანახავად ასი ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა. შეხვედრაში პირველი გოლი მე გავიტანე — ორ მცველს შორის მოქცეულმა ერთი შეხებით გადავგზავნე ბურთი კიეველთა კარში. მთელი სტადიონი გაყუჩდა. პირველი ტაიმი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. კიევის „დინამო“ ჩვენზე მაღალი კლასის გუნდი კი იყო, მაგრამ მსაჯობის ფაქტორიც არ გახლდათ უმნიშვნელო. მსაჯების სიმპათიები უფრო ძლიერი, სახელიანი გუნდებისკენ იხრებოდა და მეორე ტაიმში ბიშოვეცის მოცელვისთვის 11-მეტრიანი დაინიშნა. პენალტი არ იყო, რადგან ბიშოვეცი ჩვენი საჯარიმო მოედნის გარეთ წაიქცა. კიეველებმა ამ პენალტით გაათანაბრეს, რაც გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა შეხვედრაში — „დინამომ“ კიდევ ორი გაგვიტანა და მატჩი 3:1 დასრულდა. იმ სეზონში კი მე ცხრა გოლი გავიტანე და მომდევნო წლისთვის თბილისის „დინამოში“ ამიყვანეს.

„დინამოს“ 1967 წლის სეზონისთვის ალიოშა კოტრიკაძე ამზადებდა და მან მკითხა, ცენტრფორვარდად თუ გითამაშიაო. ვუპასუხე, მთელი ბავშვობა ამ პოზიციაზე ვთამაშობდი-მეთქი. როცა ჩემპიონატი დაიწყო, „დინამო“ ვიაჩესლავ სოლოვიოვმა ჩაიბარა, მე კი 34 თამაშში 13 გოლი გავიტანე, ხოლო სეზონის ბოლოს საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებშიც მიმიწვიეს — ერთი სიტყვით, 1967 წელი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული გამოდგა.

საბჭოთა პრესაში ერთ-ერთი უსწრაფეს ფორვარდად მომიხსენიებდნენ, თუმც დიდი სისწრაფით არ გამოვირჩეოდი. საბჭოთა კავშირის 18-წლამდელთა ნაკრებში კი ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშისას მიმიწვიეს — ჩემს გარდა კიდევ ორი ქართველი იყო იუნიორთა ნაკრებში, ორივე თბილისის „დინამოდან“: მალხაზ შერგელაშვილი და რევაზ ჭოხონელიძე, ვინც ახლა „მილანის“ ერთ-ერთი სელექციონერია.

საბჭოთა ჩემპიონატის ბომბარდირი 1970 წელს გავხდი 17 გატანილი გოლით, ხოლო პირველ ნაკრებში 1967-73 წლებში 21 მატჩი ჩავატარე და 5 გოლი გავიტანე. ყველაზე დასამასხოვრებელი მატჩი ჩემს კარიერაში კი ალბათ მაინც 1965 წლის „ტორპედო“ — კიევის „დინამო“ იყო...

# უეფას თასი 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩები. დღეს

ნიუკასლი (ინგლისი) – მარსელი (საფრანგეთი)

## ირლანდიური ფილოსოფია ერიდეთ შირერის თავს!



შეი გივენი

„ნიუკასლის“ მეკარე შეი გივენს გუშინწინ 28 წელი შეუსრულდა, იუბილარ ირლანდიელს უეფას თასის ალმართვა სწყურია: „დრო მიდის. უკან რომ მოიხედავ და მოგებულ ჯილდოებს ვერ ნახავ, გული დაგწყდება. ფეხბურთელისთვის მთავარი ჯილდოა. კლუბების პრეზიდენტებისა და დირექტორებისთვის შეიძლება ფული და სალაროს შევსება გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ თუ გნებავთ, გავიდეთ ქუჩაში და „ნიუკასლის“ ქომაგებს ვკითხოთ, რომელი სჯობს. დარწმუნებული ვარ, ათიდან ცხრა უეფას თასს აირჩევს. ნახევარფინალში გასვლა მიხარია, მაგრამ სტუმრად კარგად რომ ვერ ვთამაშობთ, მწყინს. „მარსელმა“ თვით „ინტერს“ ორჯერ სძლია. ფრანგული გუნდი მეტად ძლიერი მეტოქეა. არ გვინდა სეზონის ბოლოს ვთქვათ, რომ ჩვენ მხოლოდ თასის ნახევარფინალისტები ვიყავით. „ნიუკასლმა“ ისე უნდა ითამაშოს, როგორც პსვ-სთან და ქომაგებს კიდევ ერთი გამარჯვება აჩუქოს. ორი და მეტი ბურთის სხვაობით მოგებას უნდა ვეცადოთ“.




მიდო „მარსელს“ ვერ დაეხმარება

მასპინძლებს ოთხი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული — ჯერმენ ჯენასი, კირონ დაიერი, კრეიგ ბელამი და შოლა ამეობი. ბელამი და ჯენასი „ასტონ ვილასთან“ მატჩში დაშავდნენ.

„მარსელის“ მწვრთნელი ჟოზე ანიგო უპირველესად ალან შირერს უფრთხის: „შირერი არავის არ ჰგავს. იგი გამორჩეული თავდამსხმელია“. „ასაკის მიუხედავად, თავით ბრწყინვალედ თამაშობს. ჯარიმებისა და კუთხურების ჩაწოდებისას რატომღაც ყველას ასწრებს და გოლები გააქვს. მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“ — დასძინა მარსელელმა ბრაჰიმ ჰედმანიმ, ხოლო ანიგომ დაამატა: „ნიუკასლელებისგან უძლეველობის მითი არ უნდა შევქმნათ. მათ პატივს ვცემთ, მაგრამ არ გვეშინია. მთავარია, რომ ფლანგზე სივრცე შევუზღუდოთ, რადგან ამ მხრივ მეტად სახიფათონი არიან. მე ვთქვი და ეს ქაღალდზე დასაწერად იოლია, მაგრამ შესასრულებლად ძნელი იქნება“.

„ჯორდთა“ სტუმრებს სასჯელემოხდილი მთავარმეგოლე დიდიე დროგბა დაუბრუნდათ, მაგრამ „ლილთან“ შეხვედრაში მიდო დაშავდა, რომელიც გუნდს ერთი კვირით გამოაკლდა. ეგვიპტელი პსჟ-სთან ტურის მატჩშიც ვერ ითამაშებს. „სენტ ჯეიმს პარკზე“ სტივ მარლეს გამოჩენაც საეჭვოა.

„მარსელის“ მცველი ფილიპ კრისტენვალი კი დიდ გულზეა: „ჩვენ დავამარცხეთ „ლივერპული“ და ზედ „ინტერიც“ მივაყოლეთ. ეს ნიშნავს, რომ „ნიუკასლის“ ძლევა და ფინალში გასვლაც შეგვიძლია“.

### გზა ნახევარფინალამდე

#### ნიუკასლი

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | ბრედა | 5:0, 1:0 |
| II ეტაპი | ბაზელი | 3:2, 1:0 |
| III ეტაპი | ვოლერენგა | 1:1, 3:1 |
| მერვედფინალი | მალიორკა | 4:1, 3:0 |
| მეოთხედფინალი | პსვ ეინდჰოვენი | 1:1, 2:1 |

#### მარსელი

| | | |
|---|---|---|
| III ეტაპი | დნიპრო | 1:0, 0:0 |
| მერვედფინალი | ლივერპული | 1:1, 2:1 |
| მეოთხედფინალი | ინტერი | 1:0,1:0 |

ვილიარეალი (ესპანეთი) – ვალენსია (ესპანეთი)

## ვინ დაურეკა პაკიტოს? ფინალი თქვენ, პრიმერა ჩვენ

„ვილიარეალმა“ ინტერტოტოდან დაიწყო და უეფას თასის ნახევარფინალში აღმოჩნდა. პატარა ქალაქის გუნდისთვის ეს უკვე მიღწევაა, მაგრამ როცა ფინალი ერთ ნაბიჯზეა, მადაც იხსნება.

მასპინძელთა ორი ფეხბურთელი — კიკე ალვარესი და სერხიო ბალესტეროსი მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. წყვილმა დაახლოებით ერთნაირად ილაპარაკა და ამიტომ ნაზავს გთავაზობთ: „ვალენსიას“ ფავორიტად მიიჩნევენ და ეს არავის უკვირს, მაგრამ რაფაელ ბენიტესის გუნდს იოლი გასეირნება არ ელის. მათ ევროთასზე ბევრჯერ უთამაშიათ და გამოცდილება არ აკლიათ, თუმცა, როცა საჭიროა, ბრჭყალების გამოჩენა ჩვენც შეგვიძლია. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ „ვალიარეალისგან“ ძლეული მეტოქეთა ნუსხა ნახოთ. „ვალენსიას“ ფინალში გასასვლელად ტონა ოფლის დაღვრა მოუწევს. გარდა ამისა, ისინი პრიმერადივიზიონის ლიდერები არიან და ორ ფრონტზე ბრძოლა უწევთ, რაც მათთვის სახარბიელო არაა. ჩვენთვის ნახევარფინალში თამაში უკვე დიდი წარმატებაა, მაგრამ უფრო მეტი გვსურს. რაკი აქამდე მოვედით, უკან დახევას არ ვაპირებთ“.

მასპინძელი ფეხბურთელების აზრი ერთმანეთს თითქმის ყველაფერში დაემთხვა, მაგრამ ბოლოს კიკე ალვარესმა თქვა, თუ ვერ მოვიგებთ, უგოლო ფრე მირჩევნიაო.

სერხიო ბალესტეროსმა კი ინატრა, ნებისმიერი ანგარიშით მოვიგოთ, ოღონდ უგოლო ფრე ნუ იქნებაო.

„ვილიარეალის“ თავკაცი ფრანსისკო გარსია პაკიტო ყოფილი ვალენსიელია. 66 წლის მწვრთნელი ასე ბჭობს: „უეფას თასზე ყველა საშინაო მატჩი მოვიგეთ და ნახევარფინალში ვართ. აქამდე ვინც შეგვხვდა, ყველას ფავორიტად მიიჩნევდნენ. „ტორპედო“, „ტრაბზონსფორი“, „გალათასარაი“, „რომა“ და „სელტიკი“ ჩამოვიტოვეთ. ახლა ვალენსიელების რიგია. ისინი უკვე დამიკავშირდნენ და გარიგება შემომთავაზეს, რომლის თანახმადაც, უეფას თასის ფინალში ჩვენ გაგვიშვებენ, სამაგიეროდ, ჩემპიონობაში დავეხმარებით“. პაკიტომ ეს ხუმრობით თქვა, მაგრამ თუ რამე გენიშნათ, პრიმერადივიზიონის კალენდარს ჩახედეთ. ბოლოსწინა ტურში „ვილიარეალი“ „ვალენსიას“ მასპინძლობს.

სტუმართა პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ განაცხადა, რაც უნდა ილაყბონ, ჩემს გუნდს უკვე ფინალში ვხედავო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ „ვილიარეალს“ უეფას თასის საშინაო მატჩებში გოლი არ გაუშვია და ვალენსიელები მასპინძელთა კარის „დასველებას“ ეშურებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**




ხუან რომან რიკელმე და „ვილიარეალი“ „ვალენსიაზე“ გადახტომასაც აპირებენ

### გზა ნახევარფინალამდე

#### ვილიარეალი

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | ტრაბზონსფორი | 0:0, 3:2 |
| II ეტაპი | ტორპედო (მოსკოვი) | 2:0, 0:1 |
| III ეტაპი | გალათასარაი | 2:2, 3:0 |
| მერვედფინალი | რომა | 2:0, 1:2 |
| მეოთხედფინალი | სელტიკი | 1:1, 2:0 |

#### ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | აიკ | 1:0, 1:0 |
| II ეტაპი | მაკაბი (ჰაიფა) | 0:0, 4:0 |
| III ეტაპი | ბეშიქთაში | 3:2, 2:0 |
| მერვედფინალი | გენჩლერბირლიგი | 0:1, 2:0 |
| მეოთხედფინალი | ბორდო | 2:1, 2:1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# ინფლაცია

## როგორ შეჭამა ათმა კაცმა 200 მილიონი



REUTERS

ლუდოვიკ ჟიული და ჯონ ტერი: ორი კაპიტნის ამ ბრძოლაშიც გამარჯვებული ფრანგი დარჩა

**„ლუი მეორეზე“** ერთმანეთს მიყოლებით „რეალი“ და „ჩელსი“ დააჩოქეს. ფლორენტინო პერესს და რომან აბრამოვიჩს იმდენი ფული აქვთ, რომ ერთად ხუთ-ექვს „მონაკოს“ იყიდიან, მაგრამ დიდიე დეშანის კოხტა გუნდმა მადრიდელთა პრეზიდენტის ფული გაუფასურა და ახლა რუს მილიარდერსაც იგივე ემუქრება. მონაკოელებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მოედანზე საბანკო ანგარიშები კი არა, ფეხბურთელები თამაშობენ, რომ დიდ ჯიბეს დიდი გული სჯობს და ათი კაცით 200 მილიონი ევროს დამარცხება შესაძლებელია.

ურიგო არ იქნება, სტადიონზე დაბერებული ცნობილი ფრანგი მწვრთნელის გი რუს ნათქვამს თუ გავიხსენებთ. შარშან ზაფხულში „ოსერის“ მხცოვან დამრიგებელს ჯიბრილ სისესა და ოლივიე კაპოს სანაცვლოდ დიდძალი თანხა შეაძლიეს. რუმ უპასუხა: „სარფიანად ფეხბურთელების გაყიდვა კარგია, მაგამ მათ მაგივრად კუპიურები ვათამაშო?“

დიდიე დეშანი ორი წელიწადი შრომობდა ამ გუნდის შესაქმნელად. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ფეხბურთელები შეენარჩუნებინა და შედეგიც მიიღო.

მონაკოში „ჩელსის“ რეკორდული სვლა შეწყდა. ლონდონელებს მანამდე ექვსივე გასვლითი მატჩი მოეგოთ და მხოლოდ ერთი გოლი გაეშვათ, „ლუი მეორეზე“ კი ზღაპარი დასრულდა. რანიერის გუნდს სამჯერ გაუტანეს. „არისტოკრატთა“ მარცხი გარკვეულწილად ლოგიკური იყო, „ჰაიბერიზე“ „არსენალის“ ძლევის შემდეგ სამი პრემიერლიგურ მატჩიდან ლონდონელებმა ერთიც ვერ მოიგეს, რაც „ჩელსის“ დაღმასვლაზე მეტყველებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ „მონაკო“ მეტოქესთან შედარებით მეტად დასვენებული იყო, რაკი გასულ უქმეებზე საფრანგეთში ტური არ შედგა, მაგრამ ათკაცა გუნდის გამარჯვებას ეს ფაქტი ოდნავადაც არ აკნინებს.

**გაჟა ხუციშვილი**

მონაკო (საფრანგეთი) 3:1 ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)
1:0 პრსო (17), 1:1 კრესპო (22), 2:1 მორიენტესი (77), 3:1 ნონდა (84)
მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი (პლასილი 89), ჟიული (ნონდა 83), პრსო (ე. სისე 57), მორიენტესი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
ჩელსი: ამბროზიო, მელხიოტი (ჰასელბაინკი 62), დესაი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (ჰათი 69), მაკელელე, ლამპარდი, გრონკიაერი (ვერონი 46), კრესპო, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მელხიოტი (16), იბარა (44), მაკელელე (53), ტერი (72)
გაძევება: ზიკოსი (53)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
20 000 მაყურებელი

## დიდიე დეშანი



ეს საოცრება იყო. ესოდენ მონდომებული და მებრძოლი „მონაკო“ არასოდეს მინახავს. გუნდი ყოველთვის შეტევისთვისაა მომართული, მაგრამ ათნი რომ დარჩნენ, ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვების სურვილი გაუორკეცდათ. ზიკოსის გაძევებამ ჩვენ გვარგო და არა „ჩელსის“. გუნდს პრინციპული მატჩების მოგების განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა. ვამაყობ თითოეული ფეხბურთელით. მათ არცკი დაეტყოთ, რომ ათი თერთმეტის წინააღმდეგ თამაშობდნენ. მეტოქეს სამი ფორვარდი ჰყავდა, რაც ძალიან დაგვეხმარა. ჩემს მცველებს ვენდე და საშუალება მომეცა, მოედანზე ორი თავდამსხმელი დამეტოვებინა, რომლებმაც თავიანთი საქმე ფრიადზე შეასრულეს. ფერნანდო მორიენტესი ჩემპიონთა ლიგაში გამოწრთობილი კაცია და მან სამაგალითოდ ითამაშა. ერთი ბურთის სხვაობით მოგებაზე ვოცნებობდი და უკეთესი შედეგი მივიღე. ახლა ფინალამდე ნაბიჯილა დაგვრჩა და „სტემფორდ ბრიჯზე“ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას შევეცდებით, თუმც დაცვაში ჯდომას არ ვაპირებთ, ეს ჩვენი სტილი არ არის. ფინალში გასვლის შანსს თანაბრად ვაფასებ, რადგან კლაუდიო რანიერი ეშმაკი მწვრთნელია და თავისი საქმე კარგად იცის.




## კლაუდიო რანიერი

### ნამატჩევს „ჩელსის“ მწვრთნელმა საკუთარ შეცდომებზე ილაპარაკა

„მარცხზე სრულ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. აშკარად შევცდი. გულშემატკივრები შეიძლება კიდეც გაოცდნენ, როცა კრესპოს და გუდიონსენს ჰასელბაინკიც მივაშველე, მაგრამ მოგება მსურდა და ასე იმიტომ გადავწყვიტე. 75 წუთის განმავლობაში კარგად ვითამაშეთ, თუმც ბოლოს სრულად მოვიშალეთ. თითოეული ფეხბურთელი ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას და მოედანზე გუნდი უკვე აღარ იყო. 1:1-ზე ჯერ ჰასელბაინკი შევუშვი, მერე ჰათი. ვილიარებ, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა. 30 წელი ფეხბურთში ვარ და მსგავსი შეცდომა არ მეპატიება. შეცვლის ლიმიტი უკვე ამოწურული გვქონდა და მორიენტესის გოლი შემდეგ ველარაფერი მოვახერხე. არადა, რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას ვცდილობდი. ჩემი მოთამაშეები ერთმანეთს პასს არ აწვდიდნენ და ბურთი ფორვარდებამდე აღარ აღწევდა. მსგავსი მოქმედებით მოგება შეუძლებელია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩვენ ვიყავით ათნი და არა „მონაკო“. ამ სეზონში ეს იყო ყველაზე ცუდი მატჩი „ჩელსის“ შესრულებით. ბიჭები ძალიან განიცდიან. ვიცით, რომ საპასუხო შეხვედრაში რთული ამოცანის დაძლევა მოგვიწევს, მაგრამ ორბურთიანი სხვაობის გადაწონვა თუ გვსურს, „სტემფორდ ბრიჯზე“ სეზონის საუკეთესო მატჩი უნდა ვითამაშოთ. ფინალში გასვლის ჩვენი შანსი ახლა 20 პროცენტზე მეტი არაა, მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ სიძლიერეში დარწმუნებული ვარ“.

### ლუდოვიკ ჟიული

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ყოველდღე ვერ მოხვდები. საშინაო მატჩში ჩვენი შანსი უნდა გამოგვეყენებინა და კიდეც შევძელით. პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, შესვენების შემდეგ კი კაცნაკლულნი რომ დავრჩით, ყველა ბოლომდე დავიხარჯეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. ორბურთიანი სხვაობის განიავება დასანანი იქნება. დარწმუნებული ვარ, ლონდონში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თუ ისე ვითამაშეთ, როგორც შინ მეორე ტაიმში, „ჩელსის“ ვძლევთ.

### ფლავიო რომა

შესვენებისას გასახდელში მწვრთნელმა გვარიანად შეგვახურა, ჯიგრისმწველი სიტყვები გვითხრა და მეორე ტაიმში მთელი გუნდი დაფრინავდა, მიუხედავად იმისა, რომ ზიკოსი გააგდეს და ათნი ვთამაშობდით.

### შაბანი ნონდა

თუ გავითვალისწინებთ, რომ ათმა თერთმეტ ჩელსელს მოვუგეთ, 3:1 ფანტასტიკური შედეგია. ჩემი გოლი კი კარიერაში უმნიშვნელოვანესია, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი.

### იესპერ გრონკიაერი

თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ ჩვენი მარცხის მიზეზი გუნდური თამაშის მოშლაა. თითქმის ორმოცი წუთი რიცხობრივი უპირატესობა გვქონდა, რომლის გამოყენებასაც ცალ-ცალკე ვცდილობდით. ეს ფეხბურთია და გამორიცხული არაფერია. ექვს გასვლით მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, ახლა კი ნახეთ, რომ უცბად სამი გაგვიტანეს.

### ეიდურ გუდიონსენი

მონაკოში რაც ვერ შევძელით, ლონდონში უნდა გავაკეთოთ. სტუმრად გატანილი გოლი კარგია, მაგრამ აშკარად მეტის გატანა გვმართებდა. შეცდომას საპასუხო მატჩში გამოვასწორებთ. წაგებამ ყველა დაგვალონა, ისლა დაგვრჩენია, ლონდონში პირველი წუთიდანვე შევუტიოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

### ლუკას ბერნარდი

ფინალზე ფიქრი ნაადრევია, მიუხედავად იმისა, რომ შთამბეჭდავად გავიმარჯვეთ. ფერნანდო მორიენტესის გოლი მეტად დროული იყო, შაბანი ნონდამ კი თავისი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა. „სტემფორდ ბრიჯზეც“ ასე უნდა ვითამაშოთ.

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## რაც გინდათ, ის დაწერეთ
## დესაის უეფა გაასამართლებს



ფერნანდო მორიენტესის ცხვირ-პირის მტვრევა
მარსელ დესაის ალბათ არ შერჩება

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში, რომელშიც „ჩელსი“ ფინალში გასვლის ერთობ საეჭვო შანსის გამოყენებას ეცდება, ლონდონელებს მარსელ დესაი დააკლდებათ.

გუშინწინდელი მატჩი თუ ნახეთ, უთუოდ დაგამახსოვრდებოდათ ერთი ასეთი ეპიზოდი: მონაკოელებს კუთხური უნდა ჩაეწოდებინათ. ამ დროს „ჩელსის“ საჯარიმოში, როგორც ხდება ხოლმე, ჩოჩქოლი იყო ატეხილი, მაგრამ ჩოჩქოლიც არის და ჩოჩქოლიც — მარსელ დესაის ფერნანდო მორიენტესისთვის ყელში ხელი წაეჭირა და ახრჩობდა, მერე კი ესპანეთის ცხვირ-პირში იდაყვიც გვარიანად ჩასცხო.

ეს ეპიზოდი, რაც მსაჯს გამოეპარა, უეფას დისციპლინარებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ორგანიზაციის პრეს-მდივანმა ამის თაობაზე თქვა: „დისციპლინარული მოკვლევა მიმდინარეობს და გადაწყვეტილებას სავარაუდოდ, პარასკევს მივიღებთ“.

ამგვარი მოკვლევები, როგორც წესი, ფეხბურთელის მკაცრად დასჯით სრულდება ხოლმე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, „ჩელსის“ ფრანგ მცველს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. ანუ დესაი საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

თავად ბრალდებულმა კომენტარის გაკეთება იუარა და ჟურნალისტებს ასე მიუგო: „რაც გინდათ, ის დაწერეთ, მე რაიმეს თქმას არ ვაპირებ“.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში მეორე ინციდენტიც მოხდა, რომელმაც საპასუხო მატჩისთვის მონაკოელი ანდრეას ზიკოსი და ჩელსელი კლოდ მაკელელე შეიწირა, მართალია, მაკელელე ურს მაიერს არ გაუძევებია, მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა, მაგრამ სწორედ ამ გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს ფრანგი საპასუხო მატჩში.

**ბოტე ბებელია**

---

# ახალი რუსის ვნებანი

## აბრამოვიჩი ჟოზე მაურინიუს მიადგა
## რანიერი: სირცხვილია! მან ფეხბურთის არაფერი იცის

*„ლუი მერეზე“ „ჩელსიმ“ „მონაკოსთან“ წააგო და ამ წაგებას თეატრის დარი სტადიონის „ვი-აი-პის“ ლოჟიდან შექსპირული ვნებების შესაფერი გამომეტყველებით დასცქეროდა ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი. რა იქნება საპასუხო შეხვედრაში? შეძლებს გუნდი, რომლის კადახალისებასაც მილიარდერმა 125 მილიონი ინგლისური გირვანქა დაახარჯა ორი უპასუხო გოლის გატანას მცირებიუჯეტიანი და უსახელო, მაგრამ ძალიან ყოჩაღი სამთავროელების კარში? იქნებ მეტიც გაიტანოს? მაგრამ, მთავარი მაინც არგაშვებაა...*

*თუმცა აბრამოვიჩის ვნებანი გაცილებით ფართოა. როგორც ნამდვილი მპყრობელი და მესაკუთრე, ის სხვა საკითხებზეც ფიქრობს, ხოლო როგორც ნამდვილი საბჭოელი, პოსტსაბჭოელი თუ ახალი რუსი, ამას სხვათა ზურგს უკან სჩადის.*

...მონაკოში ჩაფრენამდე რომან აბრამოვიჩი და მისი კლუბის აღმასრულებელი დირექტორი, პიტერ კინიონი ესპანეთის ქალაქ ვიგოში ბრძანდებოდნენ. მათი ვიზიტის შესახებ „ჩელსის“ მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ არაფერი იცოდა. იქნებ იკითხოთ, ანკი რატომ უნდა სცოდნოდაო, მაგრამ ამ კითხვაზე მარტივი პასუხია: იმიტომ, რომ აბრამოვიჩმა და კინიონმა რანიერის ცოტა ხნის წინ ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, ხოლო თავად ახალი მწვრთნელის საპოვნელად დაძვრებიან — ვიგოში „პორტუს“ მწვრთნელის, ჟოზე მაურინიუს მთავარ აგენტს, ჟორჟე მენდეშს შეხვდნენ და შვიდი (!) საათის განმავლობაში ელაპარაკებოდნენ.

აბრამოვიჩსა და კინიონს ძალიან სურდათ ეს მოლაპარაკებები სრულიად საიდუმლოდ ჩაეტარებინათ, მაგრამ ძნელია ინგლისურ პრესას რამე გამოაპარო. „სანმა“, რომელიც „ვინ სად წავიდასა და ვინ ვის რა უთხრაში“ ძალიან ძლიერია, „ჩელსის“ ბატონებს პაპარაცები მიუგზავნა და შიგ ვიგოს აეროპორტში ჩაუჩხაკუნა. „სანმავე“ აღნიშნა, რომ ჟოზე მაურინიუ გონიერი ადამიანი გამოდგა მოლაპარაკებებზე თვითონ რომ არ ჩავიდა, მაგრამ თვითონ როგორ ჩავიდოდა, როდესაც „პორტუს“ „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ გუშინდელი მატჩისთვის ამზადებდა.

უნდა ითქვას, რომ მაურინიუს გადაბირება აბრამოვიჩს მრავალმხრივ აძლევს ხელს. ჯერ ერთი, ის ყველაზე წარმატებულ და მზარდ ახალგაზრდა ევროპელ მწვრთნელად ითვლება, მეორეც, მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ინგლისელმა მწვრთნელმა სერ ბობი რობსონმა ითამაშა და ეს სხვა ინგლისელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მესამეც, მაურინიუ ჩინებულად ლაპარაკობს ინგლისურად, რაც, ალბათ უცხოელი მწვრთნელებისთვის საერთო, ერთ დიდ, ტიპიურ პრობლემას ხსნის.

„ინგლისის ჩემპიონატი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა. ვფიქრობ, როდესაც ადამიანს იქ მუშაობის შანსი ეძლევა, ის ამ შანსს ორივე ხელით უნდა ჩაებღაუჭოს“ — თქვა მაურინიუმ „დეპორტივოსთან“ მატჩის წინა პრესკონფერენციაზე, თუმცა მეტად ეს თემა აღარ გაუშლია.



და კიდევ, შეგახსენებთ, რომ ინგლისური პრესის დიდი მოწადინების წყალობით, „ჩელსის“ სათავეში რომან აბრამოვიჩის მისვლის დღიდანვე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსი თუ რუსეთელი ოლიგარქი მწვრთნელად შვედი სვენ გორან ერიკსონის მიყვანას ლამობდა. ყოველთვის, როდესაც აბრამოვიჩი ერიკსონს საიდუმლოდ თუ ნახევარსაიდუმლოდ, აქ თუ იქ, ასე თუ ისე ჩაცმული შეხვდებოდა, მეორე დილით ბრიტანეთი ფოტოებით დადასტურებულ, არგუმენტებით და თვითმხილველთა ციტატებით გამდიდრებულ ცნობებსა და წერილებს კითხულობდა, ყველაფერს ისე დაწვრილებით აღწერდნენ, რომ... მაგალითად, ჩვენთვის გაუგებარია, რა საჭიროა იმის აღწერა, თუ მართლაც რა ეცვა ინგლისის ნაკრების თავკაცს, რომელმაც... აბრამოვიჩის გიჟურ მილიონებზე უარი განაცხადა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან გააგრძელა ერთორ მილიონიანი ხელშეკრულება.

გაუგებარია? რას იზამ, ყველას თავისი გზა და არჩევანი აქვს.

ამ უარის შემდეგ აბრამოვიჩის არჩევანი კლაუდიო რანიერისთან ახალი კონტრაქტის დადება გამოდგა. და თითქოს ყველაფერი ასე მშვიდობიანად მოგვარდა, მაგრამ გავიდა დრო და ინგლისური გაზეთები ესპანურიდან ნათარგმნით აჭრელდა — ამ დღეებში ესპანურმა „მარკამ“ გამოაქვეყნა რანიერის ინტერვიუ ლაიტმოტივით: „რომან აბრამოვიჩს ფეხბურთისა არაფერი გაეგება“.

მოვიტანოთ ციტატები:

„აბრამოვიჩის პრეტენზიები ჩემთვის გაუგებარია. რა უნდა, ჩემი სისხლის დალევა? მან ხომ ფეხბურთისა არაფერი იცის. სირცხვილია ეს ყველაფერი“.

„მას რომ ესმოდეს ჩემმა გუნდმა გასულ სეზონში რას მიაღწია, გაცილებით სერიოზულად დამაფასებდა. თანაც, ეს ყველაფერი ჩვენ ფულის გარეშე გავაკეთეთ“.

„აბრამოვიჩის ხანჯალი უკვე ჩამარჭვეს“.

„ეჭვი არ მეპარება, ჩემპიონთა ლიგა რომც მოვიგო, ის მაინც გამიშვებს თანამდებობიდან. ვიმეორებ, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და მეტიც, მზად ვარ“.

„იმ დღიდან, რაც ჩამოვიდა, აბრამოვიჩს სვენ გორან ერიქსონის მოყვანა სურდა. ისინი ზაფხულშივე შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა, როდესაც ერიკსონმა განუცხადა, რომ ინგლისის ნაკრებში სურს დარჩენა, აბრამოვიჩი მე მომიბრუნდა და მითხრა, ო კეი, ბოლო წლებში კარგად გიმუშავია და გააგრძელეო“.

„ძალიან ძნელი იყო ამდენი ფეხბურთელის ერთად და უცბად ათამაშება. ეს აბრამოვიჩს ვერ გავაგებინე. ის ფიქრობს, რაკიღა ფეხბურთელები იყიდა, გუნდმა თამაში თამაშზე უნდა მოიგოს. ერთი თვის მოსული იყო, 11 ახალი მოთამაშე რომ იყიდა. ეს ნაღდი სიგიჟეა“.

„აბრამოვიჩი ფეხბურთისთვის თუა სასარგებლო კაცი? არა, მაგრამ დღეს ფეხბურთში ფული ლიდერობს“.

როგორი ციტატებია?

რას იტყვით, როგორც ჩანს, რანიერი კონტრაქტის გახანგრძლივების მიუხედავად გრძნობდა და ხვდებოდა, რომ მისი პრეზიდენტი მის მიმართ მთლად ალალი არ იყო.

მეორე მხრივ კი, ამ ინტერვიუს გახმაურების შემდეგ, რანიერის წარმომადგენელს ოფიციალური წერილობითი განცხადების გაკეთება მოუხდა.

„ეს ინტერვიუ სრული გაუგებრობაა. ის სამი კვირის წინ არის ჩაწერილი და სერიოზულად მისი განხილვა არ შეიძლება“ — წერია განცხადებაში.

სამი კვირის წინო?

მთვრალი ხომ არ იყო რანიერი, ჟურნალისტს ასეთებს რომ ეუბნებოდა? ნუთუ ყველაფერი მოწყობილია? ნუთუ სამი კვირის წინ ჩამორთმეული ინტერვიუ კორესპონდენტმა განგებ „დააწნილა“, რათა ამასობაში აბრამოვიჩს რანიერისთან კონტრაქტი განეახლებინა, ამით კეთილგანწყობილი კაცის იმიჯი შეექმნა, ხოლო სტატიის ასეთ ფონზე გამოქვეყნებით უკვე რანიერის სახელი შეელახა?

რად უნდოდა ეს რთული ამბავი? იმად, რომ რანიერი „ჩელსის“ ფანებს უყვართ (!) და მისი „სტემფორდ ბრიჯიდან“ წკიპურტით გაგდება ეგრე იოლი არ არის.

თუმცა, შეიძლება ჩვენ გავგიჟდით და მაშინ გვაპატიეთ.

**პაპუნა ბედია**



პიტერ კინიონი და რომან აბრამოვიჩი ვიგოს აეროპორტში გამოიჭირეს

# განებივრებული ტრაპატონი

## რა აქვს ვიერის სანერვიულო?



*რასაკვირველია, ალესანდრო დელ პიეროს და ფილიპო ინძაგის დონის ფეხბურთელებს უნდა დაელოდო. მართალია, ჩვენ შეტევაში საქმე ასარჩევად გვაქვს, მაგრამ მათ დამატებითი, ძალიან დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ — განაცხადა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ, როდესაც ევრო 2004-ზე წასაყვან მოთამაშეებზე, „სკუადრა აძურას" თავდასხმაზე და ზემოხსენებული ორი ფორვარდის ტრავმებზე ჰკითხეს.*

| 5511 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ლიდსი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ტოტენჰემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰამბურგი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | პერტა-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ჰანზა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბოხუმი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ბაიერნი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | მალაგა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | რასინგი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | სელტა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ბეტისი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სარაგოსა-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | რეალი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ბილბაო-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5003 | ნიუკასლი-მარსელი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5004 | ვილიარეალი-ვალენსია | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5007 | ევერტონი-ბლექბერნი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5008 | ფულემი-ჩარლტონი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5009 | ლესტერი-სიტი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5010 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5011 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5012 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5013 | ლიდსი-პორტსმუთი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5014 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 2,2 | 5,6 | 1 | 1,39 | 1,57 |
| 5015 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5016 | ტოტენჰემი-არსენალი | 5,0 | 2,1 | 2,2 | 1,47 | 1,52 | 1,07 |
| 5017 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5018 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,7 | 2,2 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,64 |
| 5019 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5020 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5021 | პერტა-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5022 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5023 | ჰანზა-შალკე | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5024 | ბოხუმი-ვერდერი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5025 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 5035 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5036 | მალაგა-დეპორტივო | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5037 | რასინგი-ალბასეტე | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5038 | სელტა-ოსასუნა | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5039 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5041 | ბეტისი-სოსიედადი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5042 | სარაგოსა-სევილია | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5043 | რეალი-ბარსელონა | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5044 | ბილბაო-ვალენსია | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5203 | ნიუკასლი-მარსელი | 1,65 | 1,95 |
| 5204 | ვილიარეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5207 | ევერტონი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | ლესტერი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5211 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1,8 | 1.8 |
| 5212 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 1,65 | 1,95 |
| 5213 | ლიდსი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5214 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ნიუკასლი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 5216 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5217 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,95 | 1,65 |
| 5219 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,0 | 1,6 |
| 5220 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5221 | პერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5223 | ჰანზა-შალკე | 1,9 | 1.7 |
| 5224 | ბოხუმი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 5225 | ბაიერნი-მიუნხენი | 2,2 | 1,5 |
| 5235 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5236 | მალაგა-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 5237 | რასინგი-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5238 | სელტა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5241 | ბეტისი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5242 | სარაგოსა-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5243 | რეალი-ბარსელონა | 1,95 | 1,65 |
| 5244 | ბილბაო-ვალენსია | 1,8 | 1.8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5303 | ნიუკასლი-მარსელი | 1,65 | 1,95 |
| 5304 | ვილიარეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5307 | ევერტონი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5308 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | ლესტერი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5311 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5312 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5313 | ლიდსი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5315 | ნიუკასლი-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5321 | პერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5323 | ჰანზა-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5324 | ბოხუმი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5325 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,6 | 2,0 |
| 5336 | მალაგა-დეპორტივო | 1,6 | 2,0 |
| 5337 | რასინგი-ალბასეტე | 1,6 | 2,0 |
| 5338 | სელტა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1,6 | 2,0 |
| 5341 | ბეტისი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | სარაგოსა-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5343 | რეალი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ბილბაო-ვალენსია | 1,6 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ფულემი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5102 | მიდლსბრო-ბოლტონი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5103 | ნიუკასლი-ევერტონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5104 | ტოტენჰემი-ჩელსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5105 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5106 | ასტონ ვილა-სიტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5107 | ლივერპული-ბლექბერნი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5108 | ლიდსი-ლესტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5109 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5110 | პერტა-ჰანზა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5111 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზ. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5112 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5113 | შალკე-ჰამბურგი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5114 | მიუნხენი-ჰანოვერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5115 | კიოლნი-აინტრახტი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5116 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5117 | დორტმუნდი-ბოხუმი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ანკონა-სამპდორია | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 5119 | ბოლონია-რეჯინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიევო-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5121 | ემპოლი-პერუჯა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5122 | ლაციო-სიენა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5123 | ლეჩე-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5124 | მოდენა-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5125 | უდინეზე-ბრეშა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5126 | ინტერი-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5127 | სევილია-ესპანიოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5128 | ალბასეტე-რეალი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5129 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5130 | ოსასუნა-მალაგა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | ბილბაო-სელტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5132 | სარაგოსა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5133 | მალიორკა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5134 | დეპორტივო-ბეტისი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5135 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5136 | ვალენსია-მურსია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |

# დიდი ბიჭის ბავშვობა

## ვლადიმერ სტეფანიას ეზოში ჩასასვლელად არ ეცალა და ამერიკაში წავიდა



*ბევრ ცნობილ სპორტსმენს უთქვამს, მამაჩემი რომ არა, ამდენს ვერ მივაღწევდიო. მართლაც, არაერთი სწორედ მშობლის დაჟინებული პრინციპის გამო გამხდარა დიდი სპორტსმენი. ასეთ მშობლად შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე წარმატებული კალათბურთელის ვლადიმერ სტეფანიას მამა. ბატონ ზაურს ვოვას აღზრდაში დიდი წვილი მიუძღვის და შვილის სპორტსმენად ჩამოყალიბებისთვის, შეიძლება ითქვას, კარიერაც შეუწირავს. ბატონი ზაური ვოვას პირველ ნაბიჯებზე გვესაუბრება და ცდილობს, შვილის პიროვნული პორტრეტი დაგვიხატოს...*



ზაურ და ვოვა სტეფანიები

### წამოდი, ბიჭო, ჩემთან

აგერ, დოლიძეზე, 150-ე სკოლაში სწავლობდა ვოვა, ფიზკულტურის გაკვეთილზე სხვადასხვა სახეობის მწვრთნელები რომ დაესწრნენ. ის ერთი თავით ყველაზე მაღალი იყო კლასში, მწვრთნელებიც ვოვასთან მივიდნენ. ყველა თავისკენ ექაჩებოდა, ზაზა დოლიძემ, ხელბურთზე წამოდიო, იქით ჩოგბურთზე დაპატიჟეს, მაგრამ თავად ცურვა არჩია. ჯერ მხოლოდ 7 წლის იყო და მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სპორტის რომელი სახეობის სექციაში შევიდოდა. საკმაოდ კარგი მოცურავე გამოდგა, ტურნირებზე არაერთი სიგელი დაიმსახურა, თავისზე 2 წლით უფროსთათვის დაწესებული ნორმატივები ჩააბარა. ვინ იცის, ცურვას რომ გაჰყოლოდა, რა გამოვიდოდა, მაგრამ ერთ დღეს აუზი სარემონტოდ დახურეს და ამის შემდეგ გადავწყვიტე, კალათბურთზე შემეყვანა, თუმც თავიდან არც კი მიფიქრია კალათბურთზე მისი დატოვება. სანამ აუზს გაარემონტებდნენ, მინდოდა, ვოვა რეჟიმში ყოფილიყო და კიროვის პარკში კალათბურთელთა სექციაში მივიყვანე.

### პირველი გარბენი

ქილიკაურთან მივიყვანე. ახლა ეს მწვრთნელი საბერძნეთშია. მოეწონა, ულაპარაკოდ აიყვანა. ვოვას ასაკის ჯგუფი არ იყო, 2 წლით უფროსებში დაიწყო ვარჯიში. ზაფხული იყო და ბეთანიაში მიდიოდნენ შეკრებაზე. ვოვას წასვლა არ უნდოდა, სანამ არ დავპირდი, რომ ყოველდღე ავაკითხავდი, ვერ დავიყოლიე. როცა ბეთანიაში მესამედ ავედი, ვოვა აფორიაქებული დამხვდა, ყელზე შემომეხვია და მთხოვა, არ დამტოვოო. ცხადი იყო, რატომაც არ უნდოდა დარჩენა. გუნდში ახალი მისული იყო, თან დიდებში ვარჯიშობდა და ეტყობა, გუნდელებთან მთლად მეგობრული ურთიერთობა ვერ დაამყარა. წამოვიყვანე.

### კალათბურთში მეორედ მისვლა

ამასობაში შემოდგომაც დადგა და აუზიც უნდა გაეხსნათ. ისევ ცურვაზე ვაპირებდი ვოვას შეყვანას, მაგრამ ერთხელაც კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს მანამდე პირადად არ ვიცნობდი. მოვიდა და პირდაპირ მითხრა, შენი შვილი კალათბურთზე უნდა ატარო, ახლავე წავიყვანო. არა, ჯერ პატარაა, ცურვაზე მინდა ვატარო-მეთქი, ვუპასუხე. ჯამლეტმა თავი მოიკლა, თუ არ გეცლებათ, მე წავიყვან და მოვიყვან, თქვენ არ შეწუხდებითო. ბოლოს, ცურვა, რომ არ დავიშალე, ასეთი რაღაც მოიფიქრა. ჩვენთან, „დინამოზე", აუზიცაა და თუ ენდომება ცურვაზეც ვატარებო. ერთი სიტყვით, წაიყვანა, სანამ არ გავატანე, არ მომეშვა. მიიყვანა და გივი ბიჭიაშვილთან ერთად ერთი წლით უფროსებში ავარჯიშებდა.

ვოვა ასაკით პატარა იყო და ძირითად 12 კაცში ვერ ხვდებოდა. ერთხელაც მისი გუნდი სოჭში ტურნირზე წავიდა, მაგრამ ვოვას არ მოუწია თამაშმა. პირდაპირ რომ ვქთვა, ვოვამ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა, ჯამლეტი კი აძალებდა და აძალებდა თამაშს. საბოლოოდ, წამოვიყვანე და ლევან ინწკირველთან მივიყვანე. ჯანო ბაგრატიონი, რომელიც ჩვენი მეზობელია, მირჩევდა, „მართვეში" მიიყვანე, იქ უფრო კარგი პირობებიაო, თუმც, რატომღაც კვლავ „დინამოში", ოღონდ ინწკირველთან დავტოვე. იქ ვოვამ წელიწადნახევარი ითამაშა. იმ პერიოდში დაუძახეს მას იუნიორთა ნაკრებში, სადაც მის კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს თამაზ ოქრუაშვილმა და ზურაბ სამხარაძემ.

### სკოლა, წიგნები და ფუნჯი

პირველივე კლასიდან ფრიადოსანი იყო, თავის ძმას კი არ ჰგავდა, ოთხიანს რომ მიიღებდა და ქვეყანა მისი ეგონა, 150-ედან 51-ე სკოლაში გადავიყვანე მათემატიკის გაძლიერებულ კლასში. კარგად სწავლობდა, მაგრამ სკოლაში სისტემატურად სიარულს საერთაშორისო ტურნირების გამო ვერ ახერხებდა. რეპეტიტორებთან დამყავდა, თავადაც კითხულობდა წიგნებს. შემდეგ პირველ სკოლაში არქიტექტურული კოლეჯი გაიხსნა, ჩემი პროფესიაც ესაა და იქ დავუპირე გადაყვანა. დირექტორ ლია შეწირულთან მივედი, სპორტსმენი ბიჭი მყავს, საერთაშორისო პრიზიორია, ეგებ მიიღოთ-მეთქი. აქ მე სპორტული სკოლა კი არ მაქვს, თუ ტექნიკური საგნები და ხატვა იცის, მივიღებო. გაესაუბრა და მოეწონა. მათემატიკის მისაღებ გამოცდაზე ვოვამ ყველა გააოცა, ნახევარ საათში შეასრულა ის დავალება, სხვებმა 2 საათი რომ მოანდომეს. გამოცდიდან ასე ადრე რომ გამოვიდა, დირექტორმა იფიქრა, მაგალითები ვერ გამოიყვანაო და ვოვას დასამშვიდებლად მივიდა. რომ გაიგო, ყველაფერი ამოხსნილი ჰქონდა, არ დაიჯერა, კლასში შევიდა და ნაწერი გადაამოწმა.

ყველაზე მეტად კი ვოვას ხატვა ეხერხებოდა. არასოდეს უვლია მასწავლებელთან, მაგრამ მის ნახატებს ვერავინ იწუნებდა. აგერ, კედლებზე რომ სურათებია, სულ ვოვას დახატულია. ის დიდობაშიც ხატავდა, „ოლიმპიაში" როცა თამაშობდა, ამერიკაში კი ვეღარ იცლის ფუნჯისთვის.

### ფანჯარა ევროპაში

ჭაბუკთა ნაკრებში თამაშისას ვოვა ბულგარეთში „ოლიმპიას" ერთ-ერთმა მწვრთნელმა, გვარად მარტიჩმა ნახა, რომელმაც მოგვიანებით სლოვენიაში გასასინჯად წაიყვანა. მერე მარტიჩი მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს და ვოვამაც მაშინ მოიკიდა „ოლიმპიაში" ფეხი. ამ კაცს დღესაც დიდად ემადლიერება.

### ძმაბიჭებში დროსტარება...

ვოვა არასოდეს ყოფილა ქეიფის და ზედმეტი გართობის მოყვარული. მას საამისოდ დროც არ ჰქონდა. სულ სადღაც მიეჩქარებოდა, ეზოს ბიჭებს გამარჯვობას თუ ეტყოდა. ერთხანს ცურვაზე და კალათბურთზე ერთდროულად დადიოდა, მძლეოსნობაშიც მოსინჯა ძალა, სად ეცალა ეზოში ჩასასვლელად. რაღაც სხვანაირი ხასიათის იყო, ცოტა გულჩათხრობილი, თავისებური. თავისი სიმაღლით ყოველთვის გამოირჩეოდა და პატარების ამბავი ხომ იცი, ვინ რას ეტყოდა, ვინ რას... ვოვასაც თავისებური ხასიათი ჩამოუყალიბდა და ძნელად თუ დაიახლოვებდა ვინმეს. ერთხელ სკოლაში იჩხუბა. ეტყობა, ერთმა ბავშვმა ვერ აიტანა, ვოვა რომ მასზე მაღალი იყო, უკნიდან მიეპარა და კედელზე თავი მიარტყმევინა.

### მშობლების წილი

პირდაპირ გადაყოლილები ვიყავით მე და დედამისი. ყველგან დავყვებოდი, მასთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე. სამსახურეობრივად უფრო მეტის მიღწევა შემეძლო, მაგრამ ისეთ საქმესთან შეჭიდებას ვერიდებოდი, ვოვასთან ყოფნაში რომ შემიშლიდა ხელს. სულ ჩემი შვილის გვერდზე რომ ვყოფილიყავი, ბევრ რამეზე ვთქვი უარი. ვოვა ძალიან მძიმე ხასიათის, რთული პიროვნება იყო. რასაც მიზნად დაისახავდა, ვერ მოისვენებდა, სანამ არ შეასრულებდა, მაგრამ მე მაინც ვეხმარებოდი, რადგან ძალიან ემოციური იყო.

### კურიოზი

ევროპის შესარჩევ მატჩში ბოსნიელები რომ დაამარცხეს, საქართველოს ნაკრების წევრები საფეხბურთო ნაკრების მატჩის სანახავად „ეროვნულზე" მივიდნენ. თანაგუნდელებთან ერთად ვოვაც იყო. კონტროლიორი ქალი არ უშვებდა, ბიჭებმა კი უთხრეს, ბოსნიელებს რომ მოვუგეთ, ისინი ვართო. ქალს ვოვასთვის უკითხავს, სტეფანიამ თუ ითამაშაო...

### ოჰ, ეს ქალები

მოსვენება არ გვქონდა, ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. იძულებული ვხდებოდი, ხანდახან ტელეფონი გამეთიშა, სხვანაირად გოგოების ვერაფრით ვაგებინებდი, რომ არ დაერეკათ. ყოველთვის ვაფრთხილებდი ვოვას, განსაკუთრებით ახლა, ფული რომ იშოვა — ქალებს უნდა უფრთხილდე, რაღა სხვამ ამოგირჩიოს, მიდი და შენ შეარჩიე მეთქი. ისე კი, კაცია და გ[illegible]აივლის ქალებში, აბა, რას იზამს. ახლაც ჰყავს ამერიკაში მეგობარი გოგო, მაგრამ ოჯახის შექმნაზე სერიოზულად ჯერ არ ფიქრობს.



ბავშვობაში მორცხვი ვოვა დღეს დენის როდმანისთანა „მტაცებლებს" არ ეპუება

## 2004 NBA Playoffs

— 20 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

**ინდიანა 2:0 ბოსტონი**

**ინდიანა 103:90 ბოსტონი**

ინდიანა: ტინსლი (15), მილერი (7), ჰარინგტონი (12 ქულა, 13 მოხსნა), ონილი (22 ქულა, 11 მოხსნა), ფოსტერი (4); ფ. ჯონსი (17), ბენდერი (11), კროშერი (10), ჯონსონი (5), პოლარდი

ბოსტონი: ეტკინსი (21), ველში (9), პირსი (27), მაკარტი (12), ბლუნტი (10 ქულა, 10 მოხსნა); დევისი (7), ბანქსი (4), ჯ. ჯონსი, მიმი

**ნიუ ჯერსი 2:0 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი 98:81 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: კიდი (15), კიტლზი (16), ჯეფერსონი (20), მარტინი (22 ქულა, 16 მოხსნა), კოლინზი (2); როჯერსი (12), ა. უილიამსი (6), ჰარისი (4), არმსტრონგი (2), პლანინიჩი, სლეი, სკალაბრინი

ნიუ იორკი: მარბერი (23), ანდერსონი (9), ჰარდევეი (13 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), კ. ტომასი (18 ქულა, 12 მოხსნა), მუჰამედი (4); ბეიკერი (7), მუტომბო (5), სვიტნი (2), ფ. უილიამსი, ჯონსონი

**დასავლეთი**

**საკრამენტო 2:0 დალასი**

**საკრამენტო 83:79 დალასი**

საკრამენტო: ბიბი (24), კრისტი (13 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13), ვებერი (18 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი), დივაცი (4); მილერი (8), პოლერი (2), სონგაილა

დალასი: ნეში (13), დანიელსი (16 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (10), ნოვიცკი (28 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (5 ქულა, 10 მოხსნა); ნახერა (4), ფოვარდი (3), ჯეიმსონი, [illegible] უილიამსი

**მასტერსის სერია**
**მონტე კარლო. თიხნარი**
**საპრიზო 2 425 500 ევრო**

**პირველი წრე**

**ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:2, 6:3; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:6 (7:5), 1:6, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:0; **სებასტიან გროჟანი** (8, საფრანგეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ნიკოლას მასუ** (9, ჩილე) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:3, 6:0; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — პარადორნ შრიჩაფანი (10, ტაილანდი) 6:4, 6:3; **მარტინ ფერკერკი** (14, ჰოლანდია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 4:6, 6:3, 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:4

**მეორე წრე**

**გილერმო კორია** (3, არგენტინა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:0, 6:3; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) *ნიემინენს ტრავმის გამო არ ეთამაშა*; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:7 (8:10), 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:0, 5:7, 7:6 (7:4); **ნიკოლას მასუ** (9, ჩილე) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:2, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — მარტინ ფერკერკი (14, ჰოლანდია) 6:3, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 1:6, 7:6 (7:5), 6:1; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ტაილორ დენტი (აშშ) 6:3, 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — მაქს მირნი (ბელორუსი) 6:4, 6:3

# მონტე კარლოს ბარაქა მოაკლდა


ალექს კორეჩამ თავი შეგვახსენა

ზედავლათიან მეჩოგენეთა დეფიციტი მონტეკარლოურ მასტერსობაზე აქამდეც შესამჩნევი იყო, ხოლო იმდღევანდლის შემდეგ მდგომარეობა სულ მთლად საგანგაშო შეიქნა. ვეტერანმა ესპანელმა ალექს კორეჩამ, რომლის შესახებაც რაღაცინდარა დაღებითი უკვე კარგა ხანია აღარ გვითქვამს, აილო და სულ რაღაც 69 წუთში გადაუარა ტურნირის შარშანდელ და შარშანწინდელ ჩემპიონ თვისტომს ხუან კარლოს ფერეროს.

ფერერო ახლა სასურველი ფორმისგან შორს რომ არის, ეგ წინა კვირაში, მის მშობლიურ ვალენსიობაზეც დადასტურდა, სადაც მან ნახევარფინალში 20 წლის (მანამდე) უსახელო მადრიდელ ფერნანდო ვერდასკოსთან დათმო. კოლობიჭის ამგვარ უფორმობას ახსნაც ეძებნება — მან ახლახანს მოიჩუტყვავილა და ავადობის გამო თითქმის ერთი თვე იუქმა. უთამაშებლობამაც თავისი ქნა — თიხნარსეზონის უმთავრესმა ფავორიტმა უკვე თავის მეორე სათულფე ტურნირზე წაიფორხილა.

მისი ოტების შემდეგ სათავადოს პირველობას ერთადერთი ყოფილი ჩემპიონი, 1998 წლის გამარჯვებული კარლოს მოიაღა დაურჩა. შეგახსენებთ, რომ დღით ადრე ასევე პირველ წრეში დაიჩოგნა ტურნირის 1999 და 2001 წლების ჩემპიონი გუსტავო კუერტენიც.

როგორც ჩანს, ვეტერანი თანამემამულისგან ნაწვნევი მარცხი ფერერომ ძალზედ მწვავედ განიცადა, რაკილა ნამატჩევ პრესკონფერენციას უგანა და ამის გამო თავი ათასი დოლარითაც დაიჯარიმებინა.

28 წლის კორეჩას მისამართით კი დასტურ ხამს ზომიერი ხოტბა და დიმპიტაური. ის ხომ ამქრის ოდინდელი მეორეადგილოსანი და როლანგაროსის ფინალისტია და მისი წარმატებაც — ამდენად — დიდი ჩოგბურთის მეოხთ ნიადაგ ეამებათ.

ახლა სხვებზეც:

ზემოთ კარლოს მოია ვახსენეთ და აქვე წარმოდგენილ ანგარიშებში თუ ჩაგიხედავთ, სწორედ დაასკვნიდით, რომ გამოცდილი მალიორკელი უკვე მესამე წრეშია.

იქვეა უმარდესი არგენტინელი გილერმო კორიაც, ვინაც პირველი წრის დარად მეორეშიც შმაგად იბრძოლა და ტომას ენკვისტის შემდეგ ნიკოლას კიფერიც შთამბეჭდავად შემუსრა.

აღსანიშნავია, რომ ეს მისი ზედიზედ 22-ე სათიხნარო გამარჯვებაა და ეს წაუგებელი სერია მას შარშანდელი ზაფხულიდან მოჰყავს.

თავისი პირველი მონტე კარლოური გამარჯვებები მიითვალა კისკასმა ოზბიჭმა ლეიტონ ჰიუიტმა. იქაურ სეფეთიხნარზე მას აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს ეთამაშა და პირველ წრეში კარლოს მოიასთან დამარცხებულიყო. შარშან მან ტურნირი სულაც განზრახ გამოტოვა.

ამ ჯერზე კი ის საოცრად შემართული ჩანს და არაფრის მუქთად დათმობას აღარ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ჟულიენ ბენეტოს და გასტონ გაუდიოს მან მხოლოდ პირველი სეტები დაანება, მერე კი თავის საარაკო გაუტეხლობას უხმო და მატჩის ვაგლახად შექანებული სასწორი ორჯერვე სათავისოდ გადახარა.

თუკი ჰიუიტისთვის ეს პირველი პოზიტიური სამონტეკარლოო შთაბეჭდილებებია, 31 წლის ფრანგი ფაბრის სანტორო გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც იქ ჩოგანს უკვე მეთოთხმეტედ აქნევს. 1989 წლიდან წლევანდლამდე მან ტურნირი მხოლოდ ორჯერ — 1994 და 1999 სეზონებში ჩააგდო. ამჟამად რეიტინგსიის 76-ეადგილოსანი ვეტერანი თავის ორ „უკეთილეს“ იქაურ მოგონებად იმას მიიჩნევს, რომ 1997 წელს ნახევარფინალამდე მისაღწევ გზაზე მან სახელიან მეჩოგნეებს — ტომას მუსტერს, სერხი ბრუგერასა და ალბერტ კოსტას აჯობა, 1998-ში კი სულაც პიტ სამპრასს მოერია. გუშინ მან ზორბა ამერიკელი ტაილორ დენტი დაიმორჩილა.

ფავორიტთაგან ყველაზე გვიან ჩოგანი შალითიდან რუსმა მარატ საფინმა გამოაძრო, მარჯვედ სცა ბალარუს მაქს მირნის, რითაც პირად დავაში 3:2 დაწინაურდა და მესამე წრეშიც შეგოგმანდა.

**ლევან ძელაურაძე**

# ნადალი აგვისტომდე იუქმებს



**ეშტორილური** თიხნარობის მეოთხედფინალურ მატჩში 17 წლის უნიჭიერეს ესპანელ მეჩოგნეს რაფაელ ნადალს ჩვენიან ირაკლი ლაბაძესთან უნდა ეთამაშა, მაგრამ — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — კორტზე გასვლა მარცხენა ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტრავმა დიად მძიმე ყოფილა — ნადალს ძვალი ჰქონია გაბზარული.

ესოდენ სერიოზული ტრავმის განკურნებას ექვსიდან რვა კვირამდე სჭირდება, თუმცა ამ დროის მერეც ბიჭს კორტზე გასვლას ექიმები კიდევ ერთი თვის განმავლობაში არ დაანებებენ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ჩოგბურთის ერთი ყველაზე მზარდი და ამოკაშკაშებადი ვარსკვლავი წლევანდელ როლანგაროსობასაც გამოაკლდება, უიმბლდონურ კოინდარსაც ვერ გაჯეგავს და ათენის ოლიმპიადაც განზე დაურჩება.

არადა, ათენში გამოსვლა წლის უმთავრეს მიზნად მქონდაო, ყოველდღიურ „მარკას“ განდობია ესპანეთის მონაკრებე ფეხბურთელის მიგელ ნადალის ძმიშვილი.

წლეულს ის მართლაც საუცხოოდ თამაშობდა და მარტში მაიამურ მასტერსტურნირზე ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერსაც კი გაუსწორდა.

და ბარემ აქვე გეტყვით, რომ სავარაუდოდ ასევე უიმბლდონამდე იუქმებს ნადალზე ხუთი წლით უფროსი ფინელი იარკო ნიემინენი, ვინაც მარჯვენა მაჯა უკვე ამ კვირაში, მონტეკარლოურ მასტერსობაზე გადაიმტვრია. მისი ტრავმით — აგერ, ზემოთაც წაიკითხავთ და — ყველაზე მეტად კარლოს მოიამ იხეირა.



# საფინის საკადრო ცვლილება

**მარატ საფინი** თავის აქამომდელ მწვრთნელ დენის გოლოვანოვს გაეყარა და ოსტატად როჯერ ფედერერისა და მარსელო რიოსის სქელუა დამრიგებელს, შვედ პიტერ ლუნდგრენს უხმო.

ის პროფესიონალია, ისეთ შლეგიანთან უმუშავია, როგორიც მარსელო რიოსია და ეგებ რაღაც-რაღაცებში მეც გამარკვიოსო, ამბობს რუსი, გოლოვანოვი კი კვლავ მის მეგობრად დარჩება — ასეთად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე როგორც მწვრთნელიო.

შეგახსენებთ, რომ მთელი შარშანდელი სეზონი საფინს ტრავმიანობის გამო წაემურდლა. წლეულს მან საუცხოოდ დაიწყო, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ სწორედ ლუნდგრენის ნაშეგირდალ ფედერერთან დათმო. მას შემდეგ რუსთა პირველმეჩოგნე ძალზედ არასტაბილურად გამოიყურება და, ვინძლო, ზემოთგადმოცემული საკადრო ცვლილება ჭეშმარიტად დროული ნაბიჯი იყოს.

**ევროპის ჩემპიონატი**
**20-26 აპრილი, კიევი**


ადრიან ჟიგაუ

# საბანისმა ფეხი საბანზე შორს გაჭიმა

კიევში, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ 62 კილოგრამამდე წონაში გათამაშდა მედლები. პირველი დღის მსგავსად, გუშინაც ორმა ქართველმა იასპარეზა და საუკეთესო რვაში კვლავ ვერც ერთი შევიდა. თემურ ლომთაძისა და ზაზა აბულაძისგან ფინალურ ეტაპზე გასვლას ალბათ არც არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ უკრაინაში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.

ატაცში ყველას ორგზის ოლიმპიურმა ვიცე-ჩემპიონმა, ბერძენმა ლეონიდას საბანისმა აჯობა 137,5 კილოგრამით. ამდენივე აიტაცა სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსანმა ბულგარელმა სევადინ ანგელოვმაც. მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის პრიზიორი რუმინელი ადრიან ჟიგაუ კი მათ ხუთი კილოგრამით ჩამორჩა.

ჟიგაუ საოცნებო ოქროს აკვრაში ნაჩვენები შედეგით კი მიუახლოვდა, მაგრამ ანგელოვთან ჭიდილში ველარას გახდა. ბულგარელმა მეტოქეს შეცდომა არ აპატია, ხუთკილოგრამიანი უპირატესობაც შეინარჩუნა და ერთი ცდა თადარიგშიც დარჩა.

მოულოდნელად, უქულოდ დაასრულა მეორე დისციპლინა საბანისმა. ოქროზე ოცნებამ საერთოდ მედლის გარეშე დატოვა. აკვრაში ორი კილოგრამით ნაკლები სიმძიმეც რომ აეწია, ბრინჯაოს აზერბაიჯანელი მალიკოვის ნაცვლად იგი აიღებდა.

დღეს ასპარეზობაში 69 კილოგრამამდე წონის ძალოსნები ჩაერთვებიან. საქართველოს ნაკრებს ამ წონაში სპორტსმენი არ წაუყვანია. ასე რომ ჩვენი გუნდი ხვალამდე ისვენებს. ხვალ კი სიმძიმეს ერთბაშად სამი ქართველი შეეჭიდება. მათ შორის ნაკრების უმთავრესი იმედი გიორგი ასანიძე (85კგ). გიორგიმდე დავით პავლიაშვილი და თემურ ჩხეიძეც (77კგ) ასწევენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

1 სევდალინ ანგელოვი (ბულგარეთი) — 302,5კგ (137,5+165)

2 ადრიან ჟიგაუ (რუმინეთი) — 297,5კგ (132,5+165)

3 ასიფ მალიკოვი (აზერბაიჯანი) — 280კგ (120+160)

*ქართულ რაგბიში გამოიდარა. მღელვარე დღეების შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა და მალე რაგბის კავშირს ახალი ხელისუფალი გადაიბარებს. კავშირის ძველმა მუშაკებმა ამ დღეებში ოფისიდან პირადი ნივთები გამოიტანეს. ვინ დარჩება ძველ თანამდებობაზე, ამას ახალი პრეზიდენტი მერაბ ანთაძე გადაწყვეტს. ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მიხეილ ბურძგლა ოფიციალურად ჯერ არავის გაუთავისუფლებია. რას ფიქრობს ნაკრების მწვრთნელი და აპირებს თუ არა ახალ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას? საკითხავი ესაა და სხვაც. მიხეილ ბურძგლა გულწრფელად გვიპასუხობს ამ კითხვებზე*

# მიხეილ ბურძგლა: არჩევნების შედეგების გასაჩივრების სურვილიც არ გამაჩნია



ბადრი ქადაგიძის ფოტო

— ქართულ რაგბში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე და პრეზიდენტის შეცვლის თაობაზე რას იტყვით?

— არაფერს. რაც მოხდა, კომენტარი არ სჭირდება. გაჩაღდა ბრძოლა ძველი პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის წინააღმდეგ. მას ჯერ შეფარულად, შემდეგ კი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ. იყო წინადადება ერთად ყოფნის, თანაც არაერთხელ, არა მარტო ბიძინას მხრიდან, მთელი ჩვენი გუნდისგან, თუმცა ამან ნაყოფი არ გამოიღო.

— გეგიძე რაში უშლიდა ხელს მეორე მხარეს?

— ვერ გავიგეთ. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, დაპირისპირებულ მხარეს დიდი ამბიციები ჰქონდა...

— ისინი ამბობენ, რომ ბიძინა გეგიძე მხოლოდ ნაკრებს აქცევდა ყურადღებას. თქვენც ასე ფიქრობთ?

— მე ვფიქრობ, რომ ეს მსჯელობა ძალიან პრიმიტიულია.

— არსებობდა ასეთი შეხედულებაც, რომ მწვრთნელებს განცხადება უნდა დაეწერათ და წასულიყვნენ ნაკრებიდან. თქვენ ასე მოიქეცით?

— მწვრთნელების წასვლა-დარჩენის საკითხი იმ გუნდმა და მისმა მხარდამჭერებმა უნდა გაარკვიონ, რომლებიც მოვიდნენ. მათ კი ჯერ არაფერი უთქვამთ.

— ესე იგი, აგრძელებთ მუშაობას?

— ეს არ მითქვამს...

— სამივე მწვრთნელი აპირებს წასვლას?

— ყველამ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს. ისე, არჩევნების შემდეგ არც შევხვედრივართ ერთმანეთს.

— იყო ასეთი აზრიც, რომ ნაკრებმა ჯერ კიდევ ავსტრალიაში ვერ გაამართლა ქართული რაგბის სპეციალისტების მოლოდინი...

— ვთვლი, რომ იმას, ვინც მაგას ამბობს და ვისი აზრიცაა, მას არ აქვს უფლება, სპეციალისტი დაირქვას, ანუ მას ინტელექტის დეფიციტი აქვს.

— თქვენი გუნდი ოპოზიციას თანამშრომლობას სთავაზობდა. ახლა მათ რომ შემოგთავაზონ იგივე, დათანხმდებით?

— პირადად მე თანამშრომლობის სურვილი არ მაქვს. ამაში იმას კი არ ვგულისხმობ, რომ რაგბის სამყაროში არ დავრჩები. უბრალოდ, აპარატში მუშაობას არ ვაპირებ.

— როგორ აპირებთ რაგბიში დარჩენას, ალტერნატიულ ფედერაციას ხომ არ ქმნით?

— არა, ეს გამორიცხულია. შეიძლება ბავშვებთან ვიმუშაო, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ერთ-ერთ სატელევიზიო საუბარში ძველმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სულ მზადყოფნაში იქნება, დააკვირდება, რას გააკეთებს ახალი ხელმძღვანელობა. ასეა?

— ბევრი რამეა საფიქრალი და გასანაალიზებელი. მთავარია, სწორი ნაბიჯები გადაიდგას. მზადყოფნაში, ალბათ იმას გულისხმობდა, რომ რაგბიში ვრჩებით და საქმით დავამტკიცებთ, რა შეგვიძლია.

— ესე იგი თქვენი გუნდი ერთად იმუშავებს?

— ვერ გეტყვი, რადგან ყველა დამოუკიდებელია, თავისი გზა აქვს. თუმცა, ყველანი რაგბიში ვრჩებით.

— არჩევნებზე რას იტყოდით, არ აპირებთ გასაჩივრებას?

— ჯერ ერთი, მე გასაჩივრების არანაირი უფლება არ მაქვს... რომც მქონდეს, სურვილიც არ გამაჩნია. გეგიძემ კი თავისი დამოკიდებულება კაცურად გამოხატა.

— ბოლოს, მაინც არ გეგმები გქონდათ, რის განხორციელებას აპირებდა კავშირი ახლო მომავალში?

— ეს იმ ხალხს უნდა ჰკითხოთ, ვინც კავშირის აპარატში მუშაობდა. ეს ზოგადად ჩანდა კიდეც იმ სამოქმედო პროგრამაში, რომლითაც გამოვიდა გეგიძე ყრილობაზე.

— ამბობენ, რომ ბიძინა გეგიძეს მეტის გაკეთება შეეძლოო, ასეა?

— გეგიძე არ იმსახურებდა ასეთ დამოკიდებულებას და ამას რომ მიხვდე, შესაბამისად საქმის ვითარებაში გარკვეული უნდა იყო.

**ნინო ლეჟავა**

# მწვრთნელი: სხვა კარგია შენი უკეთესი

*მწვრთნელს რომ სპორტის განვითარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება, ამაზე საუბარი, ალბათ, ზედმეტია. სამწუხაროდ, საქართველოში დღესდღეობით სპორტის ცალკეულ სახეობებში უზრუნველყოფილი არაა პროფესიონალი, სათანადო ცოდნით აღჭურვილი მწვრთნელებით, რაც საერთო საქმეს უკან სწევს. ამიტომაც დღის წესრიგში უნდა დადგეს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მწვრთნელების ინსტიტუტის შექმნის საკითხი, ძნელი, მაგრამ საჭირო საქმე*

რას გულისხმობს პროფესიონალი მწვრთნელის სტატუსი? მწვრთნელს კონკრეტულ სპეციალობასთან ერთად უნდა ჰქონდეს სათანადო ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ბიოლოგიური განათლება.

მაღალი დონის მწვრთნელად ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი არაა, ესა თუ ის პირი წარსულში მაღალი დონის სპორტსმენი იყოს... პროფესიონალი მწვრთნელი დაჯილდოებული უნდა იყოს ღრმა ანალიზის უნარით, რაც ცოდნასთან ერთად აუცილებელ ფაქტორად ითვლება.

სადღეისოდ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში არის საამისო პირობები, რათა მომავალმა მწვრთნელმა მიიღოს სათანადო თეორიული განათლება ყველა იმ სფეროში, რაც სპორტს, სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებასა და პრაქტიკას ეხება. მათ ასათვისებლად საჭიროა მხოლოდ მონდომება და დაძაბული შრომა, რაც, სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში მწვრთნელად მუშაობის მსურველთა მხრიდან სათანადოდ არ ვლინდება.

წლეულს გამოვიდა ჩემს მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რომელშიც რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის საკითხებია გაშუქებული. მათი დიდი ნაწილის ცოდნა სავალდებულოა არა მარტო სპორტული ექიმებისთვის, არამედ მწვრთნელებისთვისაც. მაგრამ ჩემი წინადადება სპორტული ფუნქციონერებისადმი, შეეძინათ ეს სახელმძღვანელო მწვრთნელებისთვის, კედელზე ცერცვის შეყრის ტოლფასი გამოდგა, ამიტომ იძულებული გავხდი ამ საქმეზე ხელი ამეღო.

ალბათ დამეთანხმებით, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომით არაფერი გამოვა და ამიტომაცაა ის მდგომარეობა, რომ დღეს სხვა ქვეყნებიდან მწვრთნელების მოწვევის ტენდენცია სულ უფრო მეტად ვლინდება, რაც ერთობ საგანგაშოა.

საქართველოში ფეხბურთის განვითარებასა და პირველ რიგში თბილისის „დინამოს“ წარმატებებში დიდი როლი შეასრულეს ბუტუსოვმა, სოკოლოვმა, იაკუშინმა, კაჩალინმა... მათი დამსახურება არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩვენც გვყავდა კარგი ქართველი მწვრთნელები: ანდრო ჟორდანია, ნესტორ ჩხატარაშვილი, გაიოზ ჯეჯელავა, ალექსანდრე კოტრიკაძე, ანატოლი ნორაკიძე და ბოლოს ნოდარ ახალკაცი. ამიტომაც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ საქართველოში გვეყოლება მართლაც განათლებული და მართლაც პროფესიონალი მწვრთნელები, ისინი ეროვნული გუნდების მომზადებაში უფრო მეტის გაკეთებას შეძლებენ, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან მოწვეულნი.

ამას წინათ რუსეთის ტელევიზიის ერთ არხზე გამოდიოდა ცნობილი თეატრალური რეჟისორი ვიტალი პავლოვი, რომელიც ფეხბურთის საუკეთესო მცოდნე აღმოჩნდა. მან თქვა, რომ როგორც თეატრში, ისე ფეხბურთის გუნდში, რეჟისორისა და მწვრთნელის საქმიანობა და მაღალი შედეგები დამოკიდებულია არა მარტო მათ პროფესიონალიზმზე, არამედ დასისა და გუნდის შემადგენლობაზე, აგრეთვე იმ ტრადიციების ცოდნაზე, რომლებიც დასში თუ გუნდშია. ამის დასტურად მან გაიხსენა ის, რომ ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ ბევრ ქვეყანაში დადგა სპექტაკლები, მაგრამ ამ დადგმებიდან ყველაზე მაღალ დონისა მაინც ის წარმოდგენები იყო, რომლებიც თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა.

და მაინც, სადღეისოდ ქართულ სპორტსა და კერძოდ ფეხბურთში იძულებულნი ვართ, რომ მწვრთნელები უცხოეთიდან მოვიწვიოთ. მოვიწვიოთ: იოჰან ბოსკამპი, ივო შუშაკი, ალენ ჟირესი. მათ ალბათ სხვებიც დაემატებიან, მაგრამ საქართველოს ხომ საკუთარი მწვრთნელებიც სჭირდება?!

ისიც სამწუხაროა, რომ დღეს საუბრებია ფეხბურთელთა საერთო ფიზიკური მომზადების მიზნით მწვრთნელთა რუსეთიდან მოწვევაზე. საქართველოს სპორტის აკადემიას ალბათ შეუძლია ასეთი სპეციალისტების მომზადება, მაგრამ გუნდების ხელმძღვანელობის გარკვეულ ნაწილს ხომ „იმპორტი“ იზიდავს.

საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. იმედია, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება. ცვლილებები მოხდება ყველა სფეროში და განზე არც სპორტი დარჩება, სადაც პროფესიონალი მწვრთნელების მომზადების პრობლემა ერთ-ერთ პრიორიტეტულად გვესახება.

**რომანოზ სვანიშვილი**

**პროფესორი**

ჰოკეი

## პლეი ოფი. პირველი წრე

# აქეთ არწივი, იქით მოღალატე

— 20 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

**ტორონტო 4:3 ოტავა**

**ტორონტო 4:1 ოტავა**

*3:0 0:1 1:0*

**1:0 კილგერი (7), 2:0 ნუინდაიკი (8), 3:0 ნუინდაიკი (20), 3:1 ვარადა (21), 4:1 მაკეიბი (48)**

არ არიან სუნდინი და ნოლანი, მაგრამ არც პრობლემებია. რატომ? იმიტომ, რომ არის ბელფორი. დიახ, ტორონტოს რამდენიმე ლიდერი აკლია, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა, დააჩოქა „ოტავა“ უმძიმეს, შვიდმატჩიან დუელში. ყველაფერ ამის სულისჩამდგმელი კი მეკარე ედ ბელფორი გახლდათ. რომ არა „არწივი“, საქმე მეშვიდე თამაშამდე არც მივიდოდა. ბელფორმა ფანტასტიკურად ითამაშა. მისი სამი შათაუტის წყალობით გატეხეს ტორონტოელებმა მრისხანე მეტოქე.

„ოტავაში“ სულ საპირისპირო რამ ხდებოდა. მისი ყველა ლიდერი საუკეთესო ფორმაში იყო, მხოლოდ... მეკარე პატრიკ ლალიმმა უღალატათ... ბოლო მატჩი რომ ესოდენ იოლი გამოდგა „ტორონტოსთვის“, სწორედ მისი „დამსახურებაა“. სტუმრები პირველი პერიოდის შემდეგვე აღმოჩნდნენ ნოკდაუნში და ველარც დააღწიეს მას თავი. მართალია, პირველ გოლში ლალიმს ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ მომდევნო ორი ნამდვილად მის კისერზეა. ორჯერვე ჯო ნიუნდაიკი შორიდან და საკმაოდ მახვილი კუთხიდან უტევდა, მაგრამ ლალიმმა ჯერ ხელი მოიქნია უშნოდ, მერე კი ფეხებშუა გაუძვრა შაიბა. ასე გახდა ანგარიში 3:0. მართალია, მეორე პერიოდის დასაწყისში სტუმრებმა ერთი შაიბა მაინც გაუტანეს ბელფორს, ისიც რიკოშეტის შემდეგ, მაგრამ დანარჩენ დროს მეკარე საიმედოდ იდგა და 36 დარტყმა მოიგერია.

აი, ოტაველთა კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა კი ვერ შეასრულა სიტყვა, უფრო სწორად, სანახევროდ აუხდა — წინა მატჩი კი მოიგო მისმა გუნდმა, მაგრამ სერია... ნურას უკაცრავად! ისე, საწყენია, „ოტავა“ რომ გავარდა. გუნდს უდავოდ დიდი პოტენციალი ჰქონდა და ვერ გამოამჟღავნა. რატომ? ამის ახსნა ჯერჯერობით არ არსებობს. „ტორონტომ“ კი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**თასის მეორე რაუნდი**

**აღმოსავლეთი**

**ტამპა (1) — მონრეალი (7)**

**ფილადელფია (3) — ტორონტო (4)**

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1) — კალგარი (6)**

**სან ხოსე (2) — კოლორადო (4)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი პრიზის მოლოდინში

*ჩინეთში ხუთდღიან ვიზიტად იმყოფება ბრიტანეთის უფლისწული ენდრიუ, ვისაც იქაურებმა სიამაყით დაათვალიერებინეს შანხაის საფორმულე კომპლექსი. ჩინეთის პირველი დიდი პრიზი სექტემბერში გათამაშდება.*



REUTERS შანხაიდან



REUTERS მონტე კარლოდან

# თავადების სიხარული

*მთელი მონაკოს დიდი თავადობა გახარებულია: მათი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ გასაოცარი მოხდენილობით მიიწევს. „ლუი მეორეს“ ლოჟაში უფლისწული რენია და მემკვიდრე ალბერი კმაყოფილნი არიან, პრინცესა კაროლინა და მისი ქმარი უფლისწული ერნსტ აუგუსტ ჰანოვერელი კი ტაშსა სცემენ.*



REUTERS მონტე კარლოდან

# შემოატყდა

*აჰ, რაგვარი მონდომებითა და საუკუნის ასაკის ხერხებით მზადდება ბეისბოლის კეტები! მათი მთლიელი დურგლები ხომ დიდად საპატიო ხალხი გახლავს. და მაინც, გამოერევა ხოლმე: მოიქნევ და შემოგატყდება, ისე, როგორც ფლორიდელ „მარლინს“ მაიკ დოუელს დაემართა.*



REUTERS ფილადელფიიდან

# არმსტრონგი ჯორჯიაში

*ტურ დე ფრანსის ხუთგზის მომგები ლენს არმსტრონგი ჯორჯიის შტატში ექვსდღიან ველოტურში ჩაბმულა. ამ ტურს ჯორჯიის კიბოს წინააღმდეგ მებრძოლი ფონდიც აფინანსებს, არმსტრონგი კი კიბოს დამმარცხებელი კაცია. თან — ტურ დე ფრანსის მეექვსედ მოსაგებად ემზადება.*



REUTERS მაკონიდან



REUTERS ტოკიოდან

# საგზური

*იაპონიის მეოთხმოცე ჩემპიონატი ცურვაში, თანაც — ათენის საგზურები. ტომოში მორიტა ბრასის 200-მეტრიან შეჯიბრს იგებს და ოლიმპიადაზე მიემგზავრება.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge